წლიწადი მესამე — ფასი 5 კ. — პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ახალი გზა

ყოველკვირეული პოლიტიკური, ეკონომიური და ლიტერატურული ჟურნალი.

შაბათი, 22 იანვარი 1927 წ.

რედაქცია და კანტორა
რუსთაველის პროსპექტი, № 22, ოთახი 27. ტელ. № 11—68.
ღიაა ყოველ დღე, გარდა კვირა-უქმისა, დილის 9—1 საათამდე.

№ 1

## ჟურნალის შინაარსი:

მოწინავე. ლენინი—ა. ხ., 9 იანვარი—კ. მაჭარაძე. ორი დოკუმენტი—პ. გელეიშვილი. ირაკლი წერეთლის მოხსენება. „ბრძოლას"—კ. ხულაქველიძე. ნუ ვაჭრობთ ხალხის სისხლით—ყარიბი. ახალი ავანტიურის საზადისი—ივ. გომართელი. პასუხი რუბენ ყიფიანს და სხვებს—ა. ხელაძე. ერთა სოლიდარობისათვის—ლეო შენგელაია. ჩემი შთაბეჭდილებანი—ნ. ელიავა. ჩვენი ინტელიგენცია და საბჭოთა ხელისუფლება—ა. ჩაჩუა. რატომ ვიბრძვით—ზ. ჩახვაძე. გაკვრით— გ. მალნარაძე. ლექსები—გიორგი ქუჩიშვილისა. ახალ გზისაკენ—შ. ხანაძე. რკინის გზებზე უბედური შემთხვევების გამო—ალ. კომახიძე. ლენინის უბნის ყოფ. ახ. მარქ. კრება და რეზოლიუცია.

## ტფილისი, 22 იანვარი, 1927 წ.

დღეიდან ჩვენ ვაახლებთ „ახალი გზის" გამოცემას. ჩვენს ჟურნალს მეორეჯერ უხდება გამოსვლა.

პირველად ის გამოვიდა 1924 წელს, აგვისტოს ავანტიურის შემდეგ, იმ დროს, როცა საზღვარგარეთ მოკალათებულმა ჩვენმა ყოფილმა ამხანაგებმა უდიდესი საშინელება დაატეხეს თავს ქართველ ხალხს.

მუშათა ერთმა ნაწილმა, რომელიც ჯერ კიდევ არ შერიგებოდა საბჭოთა ხელისუფლებას და კიდევ მენშევიზმს ედგა ერთგულ დარაჯათ, თავის საკუთარის თვალებით დაინახა, რომ ქართველი ხალხი მოატყუილეს და ავანტიურაში ჩაითრიეს. მან თავის საკუთარ ზურგზე განიცადა ამ ავანტიურის მთელი საშინელება.

მან თავის თვალებით დაინახა, რომ ქართველი ხალხის ერთი ნაწილი ურცხვათ მოატყუეს, რომ ის გააბრიყვეს საზღვარგარეთიდან მოგზავნილმა, ბურჟუაზიის ოქროთ მოსყიდულმა აგენტებმა და ხელში მახვილი აალებინეს თავის საკუთარი მთავრობის წინააღმდეგ.

თავის თავად იგულისხმება, რომ ასეთ დროს ხელისუფლება მიმართავდა რადიკალურ ზომებს; წინააღმდეგ შემთხვევაში მას თვითონ უნდა დაეყარა ფარ-ხმალი და ყელი მიეშვირა თავს დამსხმელებისათვის.

ჯერ ისტორიამ არ იცის ასეთი ხელისუფლება და რა გასაკვირალია, რომ საბჭოთა ხელისუფლებამაც რადიკალური ზომების მიღებით თავის არსებობის შენახვა არჩია. ჩვენ ჯერ არ ვიცით არც ერთი ისეთი ხელისუფლება, რომელიც ხელმძღვანელობდეს ქრისტეს მოძღვრებით: თუ ერთ ყბაში გაგარტყან, მეორე მიუშვირეო.

ასეთ დროს ხელისუფლებასა და გაბრიყვებულ ელემენტებს შორის თავისთავად უნდა შექმნილიყო ურთიერთისადმი უნდობლობისა და უკმაყოფილების ატმოსფერა.

ვის უნდა გაეწმინდა ეს ატმოსფერა? ვის უნდა გამოენახა საერთო, ორივე მხარისთვის გასაგები ენა? ვის უნდა ჩამდგარიყო მთავრობასა და მოტყუებულთა შორის მოსაშვალედ?

რა თქმა უნდა, ეს როლი უნდა ეკისრა იმ წრეს, იმ ჯგუფს, იმ კლასს, რომელიც იმ თავიდანვე მიჩვეული იყო ხალხის ინტერესებზე ზრუნვას; იმათ, რომლებიც ყოველთვის გვერდში უდგა ხალხს, როგორც ჭირში, ისე ლხინში.

ესენი იყვნენ ქართველი მუშები. აი ამათ თავს იდვეს ასეთი ორივე მხარისთვის გასაგები ენის გამონახვა, გაბრიყვებულთა გონს მოყვანა.

მაგრამ რომელ მუშებს უნდა ეკისრათ ასეთი როლი? რა თქმა უნდა, არა იმათ, რომლებიც პარტიის წევრებათ ითვლებოდნენ. ასეთ მუშებს, ჟორდანია-რამიშვილის წყალობით გაბრიყვებულებს პირველ ხანებში მაინც არაფერს დაუჯერებდნენ: ისინი თავის პარტიის ინტერესებისათვის გველაპარაკებიანო...

რა თქმა უნდა, უფრო დაუჯერებდენ უპარტიო მუშებს, და განსაკუთრებით ისეთ მუშებს, რომლების წარსულსაც ისინი იცნობდენ.

აი ასეთ დროს გამოვიდა უპარტიო მუშათა, ეწინ კი ს.-დ. პარტიის თვალსაჩინო წევრების დიდი ჯგუფი, რომელმაც აირჩია **„მუშათა კომისია"** და დაავალა მას ენერგიული მუშაობა აგვისტოს ავანტიურის ლიკვიდაციისათვის.

დეე ილანძღონ ევროპაში გადახიზნულმა უჯარო გენერლებმა. დეე პროვოკატორებათ გამოაცხადონ **„მუშათა კომისიის წევრები"** ჟორდანიას უმანდატო დემოკრატიულმა „მთავრობამ". ისტორია დააფასებს ამ მუშათა ჯგუფის, მისი „კომისიის", მისი ორგანო **„ახალი გზის"** მოღვაწეობას.

მუშათა ეს ჯგუფი პირნათლად წარსდგება არა რამიშვილის, არამედ ისტორიის სამსჯავროს წინაშე...

ორ წელიწადზე მეტი იმუშავა ამ „კომისიამ". ამ დროის განმავლობაში ქართველ ხალხს თითქმის კიდეც დაავიწყდა აგვისტოს ავანტიურის მიერ მიყენებული ტკივილები. ხალხმა შეიგნო, რომ ჟორდანია-რამიშვილმა იგი შეცდომაში შეიყვანეს... მან ზიზღით შეაქცია ზურგი ავანტიურისტებს და ენერგიულად მოჰკიდა ხელი ქვეყნის აღმშენებლობას...

ამ დროიდან „კომისიამაც" თავის მოვალეობა შესრულებულად დაინახა და ის-ის იყო თავის თავი გაუქმებულად უნდა გამოეცხადებია...

მაგრამ სწორედ ამ დროს ჩვენ ვხედავთ, რომ ქართველი ხალხის თავზე ხელ-ახლა გროვდება პროვოკაციის

და ავანტიურის შავი ღრუბლები; ჩვენ ვხედავთ, რომ მის თავზე კიდევ დაიწყეს ფრენა შავმა ყორნებმა...

და ასეთ დროს განა შეიძლება გაჩუმება?

ეს ხომ ქვეყნის, საქართველოს, „ქართველი ერის“ ღალატი იქნებოდა?

ამის შემდეგ მკითხველი მიხვდება, თუ რატომ განახლადა „ახალი გზა“, რა მიზნებს ემსახურება იგი, რას იწერს იგი თავის დროშაზე.

„ახალი გზა“, დღეს მარტო მუშათა ერთი ჯგუფის ორგანო როდია, ის მარტო მუშათა „კომისიას“ როდი ეკუთვნის.

დღეს „ახალ გზაში“ თავმოყრილი არიან, როგორც მუშათა ძველი ჯგუფი და მისი „კომისიის“ წევრები, ისე უპარტიო მუშები, როგორც ყოფილი ს.-დემოკრატები, ისე წარსულში საქართველოში არსებული ამა თუ იმ რევოლიუციონურ პარტიის ყოფილი წევრები, ცნობილი ქართველი მწერლები, ჟურნალისტები და საზოგადო მოღვაწეები, ე. ი. ისეთი ხალხი, რომლებიც ყოველთვის და ყველგან გვერდში უდგა ქართველ ხალხს, როგორც ჭირში, ისე ლხინში.

დეე ისისინონ ბურჟუაზიის ოქროთი მოსყიდულებმა. დეე ჯაშუშისა და პროვოკატორის სახელით მოგვნათლონ. ჩვენ ვერ შეგვაშინებს მათი ბოროტი სისინი. და თუ განკითხვის დღე დადგება, ყველა ისინი, ვინც „ახალი გზის“ ირგვლივ იყრის თავს, იარაღით ხელში შეებრძოლება ქართველი ხალხის სისხლით მოვაჭრეების ყოველგვარ ცდას, უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოლებს მათ წინააღმდეგ, ვინც გაბედავს და ქართველ ხალხს ავანტიურაში ჩათრევას მოუნდომებს.

აი „ახალი გზის“ აღდგენის მიზეზი.

აი მისი დროშა, მისი ალამი.

ჩვენ გვჯერა, რომ ქართველი ხალხის უფრო შეგნებული და სასიცოცხლო ნაწილი მიხვდება ჩვენს მიზანს და გვერდში ამუდგება „ახალი გზის“ წრეს.

# ლ ე ნ ი ნ ი

21 იანვრას, 1924 წ., საღამოს 6 საათზე და 50 წ., გარდაიცვალა ლენინი.

ვინ იყო ლენინი, როგორ იხსენიებს მას კაცობრიობა?

როგორი ეპოქა შექმნა მან კაცობრიობის ისტორიაში? აი კითხვები, რომლებიც უკვე ცხოვრების მიერ გადაჭრილია.

კარლ მარქსმა, პირველად თეორეტიული და მეცნიერული კვლევა-ძიებით დაამტკიცა პროლეტარიატის გამარჯვება.

კარლ მარქსმა და ფრიდრიხ ენგელსმა აღმართეს მეცნიერული სოციალიზმის დროშა და მეცნიერული შორსმჭვრეტელობით პროლეტარიატის დასაცავად აღიმაღლეს ხმა.

მათ მეცნიერული ანალიზით და ინტუიციით განსჭვრიტეს პროლეტარიატის ისტორიული მისია და მისცეს ამ უკანასკნელს დიალექტიურ მეთოდებზე აგებული სისტემა სოციალური ფილოსოფიისა და ამითვე, მუშათა მოძრაობა გახდა, არა სოციალური ფილანტროპობის ობიექტი, რაც ახასიათებდა მას მარქსის წინა პერიოდში, არამედ მეცნიერებაზე აშენებული ისტორიული პროცესი—სოციალური განვითარების გარკვეული მიმდინარეობა, რომელიც ემორჩილება რა ისტორიის გარდაუვალელ რკინის ლოღიკას. საბოლოო ანგარიშით, ისტორიის ობიექტიური მსვლელობით და სუბიექტიური ფაქტორების მომწიფებით, რევოლიუციონური წესით არღვევს ძველ სოციალურ ფორმაციას და ამყარებს შრომის სამეფოს—სოციალიზმს, კომუნიზმს.

მსოფლიო ს.-დემოკრატიამ მარქსის მოციქულად გამოაცხადა თავი, მიიღო მისი თეორეტიული საფუძვლები და მუშათა მოძრაობას ჩაუდგა სათავეში.

მაგრამ დახეთ ისტორიის განაჩენს?

სოციალ-დემოკრატია ბოლომდის ვერ გაჰყვა ამ სწავლა-მოძღვრებას. ის მუშათა კლასს ჩამოშორდა და მერყეობა და ორტოდოქსალური მარქსიზმის რევიზია დაიწყო. იმ გადამწყვეტ მომენტში, როცა მარქსიზმის თეორია პრაქტიკულად უნდა ქცეულიყო, სოციალდემოკრატია სავსებით ჩამოშორდა რევოლიუციონურ მარქსიზმს და გვერდში ამოუდგა პროლეტარიატის მტერს—ბურჟუაზიას,—მაგრამ ეს გვერდში ამოდგომა მან მარქსის სახელით მოახდინა და დღესაც მარქსიზმს ის თავის თეორიად სთვლის.

აი აქ გამოჩნდა ლენინი; ის ს.-დემოკრატიის ერთერთი ლიდერთაგანი მსოფლიოს მასშტაბით, სწყვეტს ყოველივე კავშირს ცრუ-სოციალისტებთან, მსოფლიო მენშევიზმთან; ის კრიტიკის ქარ-ცეცხლში ატარებს სოციალ-დემოკრატიის ოპორტიუნიზმს, ფარდას ხდის მათ მეშჩანურ სოციალიზმს და მოუწოდებს პროლეტარიატს სოციალისტური რევოლიუციისაკენ.

მან დასცა რუსეთის ბურჟუაზია, დასცა მისი იდეოლოგები რუსეთის მენშევიკ-ესერები და ააფრიალა წითელი დროშა და პროლეტარიატს მიანიჭა უზენაესი ძალაუფლება. ლენინი იყო ერთ და იმავე დროს თეორეტიკი, მეცნიერი, პრაქტიკი და ორგანიზატორი კომუნისტური რევოლიუციისა.

მან შექმნა ნამდვილი ფოლადისებური პარტია პროლეტარიატისა, ის გახდა უდავო და უტეხი ბელადი საერთაშორისო მუშათა კლასისა. მან შექმნა მსოფლიოს რევოლიუციონური შტაბი—კომინტერნი. მან შექმნა მე-20 საუკ. დასაწყისში ახალი ისტორიული ეპოქა.

ლენინი მსოფლიო პიროვნებაა, მისი სახელის გაგონებაზე მსოფლიო ბურჟუაზია შიშის ზარით შეპყრობილია—ცახცახებს.

მაგრამ, სამაგიეროდ, მშრომელი კაცობრიობა აღიდებს ამ ბუმბერაზ ადამიანს. უყვარს მას ეს სახელი და ის იდეა, რომელიც ლენინმა თეორეტიულიდან პრაქტიკულად მისცა მშრომელ კაცობრიობას.

ამ იდეებს ლენინისვე ხელმძღვანელობით ხორცი შეესხა მსოფლიოს ერთ მეექვსედ ნაწილზე—აქ იდეა კომუნიზმისა იქცა საქმედ—ისტორიული აუცილებლობათ.

ლენინის იდეა, რომ გაიმარჯვებს მთელ სამყაროში, ამის თავდებია ბურჟუაზიის წინააღმდეგ მთელ მსოფლიოში პროლეტარიატის ამოძრავება,ამის თავდებია აგრეთვე აღმოსავლეთის ხალხთა განმანთავისუფლებელი მოძრაობა.

ამიტომაც ლენინი დღესაც მშრომელი ხალხისათვის ცოცხალია—ის ისე უკვდავია, როგორც უკვდავია მისი იდეა.

ა. ხ.

# 9 იანვარი 22 1905 წ.

ვინ არ იცის, თუ რა არის სისხლიანი კვირა. ვინ არ იცის, რამდენი მსხვერპლი დასდო პუტილოვის მუშებმა საერთაშორისო მოძრაობის კოცონზე. რუსეთის რევოლიუციონურ მოძრაობაში 9 იანვარი წითელი ზოლით არის აღბეჭდილი როგორც მუშათა კლასის ისტორიაში, აგრეთვე ყველა მუშის გულში.

9 იანვარმა რუსეთში და 29 აგვისტომ საქართველოში აშკარად თვალები აუხილა ყველას და ნათლად დაანახვა, თუ ვინ არის მეფე, მისი დამცველი ჟანდარმთა სამმართველო და პოლიციელთა რაზმი.

1905 წელი რუსეთის ისტორიაში დაუვიწყარია, 9 იანვარმა ჩაუყარა რუსეთის რევოლიუციას მკვიდრი საძირკველი, რომელზედაც მომზადდა ნიადაგი თვითმპყრობელობის ტახტის დასანგრევად.

პირველად 1905 წელს აფრიალდა რევოლიუციის წითელი დროშა პეტროგრადში მარვის ქუჩაზე, თუმცა კი ის სასტიკად იქმნა დამარცხებული, მაგრამ მუშათა კლასი შეაერთა მან მომავალ ბრძოლისათვის.

ჯერ კიდევ ნაკლებათ შეგნებულ მუშებს სწამდათ, რომ მეფე ნიკოლოზი მუშათა ინტერესების დამცველია, მას ელობება წინ მინისტრები, თორემ მეფეს სურს მუშათა გაჭირვებულ მდგომარეობის შემსუბუქებაო, მაგრამ ცხრა იანვარმა მათაც აუხილა თვალები და დაარწმუნა, რომ რომანოვის მთავრობა მუშათა ინტერესების დამცველი კი არა, არამედ მუშათა ხალხის სისხლის მსმელი ყოფილა და სხვა.

ამ დღეს რომანოვის მთავრობის ბრძანებით დახვრიტეს პეტროგრადის მუშები, რომლებიც მშვიდობიანათ მიდიოდნენ სასახლისაკენ მეფესთან პეტიციის (თხოვნის) გადასაცემად.

საქმე შემდეგში იყო:

პუტილოვის ქარხნის ადმინისტრაციამ კატეგორიული უარი განაცხადა მუშათა ეკონომიური მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე და გარდა ამისა პირველ იანვარს დაითხოვა მრავალი მოწინავე მუშები. ქარხნის მუშებმა ამ ნიადაგზე გაფიცვა გამოაცხადეს, მას მიემხრო სხვა ქარხნების მუშებიც და დაიწყო გრანდიოზული გაფიცვა. შეწყდა პეტროგრადის მუშათა კლასის მაჯის ცემა; შეწყდა „გუდოკების“ ყვირილი ქარხნებში და პეტროგრადი დაემგზავსა ჩუმ სამარეს.

შეტორტმანდა რომანოვის მთავრობა, აამუშავა პროვოკატორთა კადრი და მოინდომა მუშათა კლასის პროვოკაციის ქსელში გახვევა.

სამწუხაროდ პეტროგრადის მუშათა კლასი ვერ აღმოჩნდა იმდენად მომზადებული, რომ პროვოკაციას აშორებოდა.

პროვოკატორი გაპონი თავის მჭერმეტყველური ნიჭით იმდენათ ძლიერი აღმოჩნდა, რომ 200.000 მუშა, მათი ცოლ-შვილით, პროვოკაციის ანკესზე წამოაგო.

ის ხალხს მეგობრობას ეფიცებოდა, იმავე დროს კი ნამდვილი მეფის ჯაშუში იყო, მან მუშები წაიყვანა ხატებით და ჯვრებით მეფის სასახლისაკენ (უფრო სასაკლაოსაკენ).

მავრის შესახვევთან მუშებს დახვდა ჯარისკაცების და კაზაკების რაზმები და უიარაღო მშვიდობიან ხალხს დაუშინეს უმოწყალოთ ტყვიები. ამ დღეს ბრძოლის ველზედ დაეცა განგმირული მუშები—ქალები და ბავშვები 1.216 კაცი, სასიკვდილოთ და მსუბუქად დაიჭრა 5.000 მუშები და მათი ოჯახის წევრები. ასეთ საზიზღარი მოქთავდებოდა. დამარცხდა 9 იანვრის პეტროგრადის მუტისტის ნიშნათ და ბევრგან შეიარაღებული შეტაკებით სრულდებოდა. დამარცხდა 9 იანვრის პეტროგრადის მუშათა კლასის რევოლიუციონური მოძრაობა. ნიკოლოზის მთავრობამ სისხლის მორევში ჩაახრჩო მუშათა კლასის გაღვიძებული სულისკვეთება. მაგრამ ჩვენდა საბედნიეროდ და მისდა სამწუხაროდ აღნიშნული დამარცხება დროებითი გამოდგა. პეტროგრადში შეწირულ მსხვერპლმა ფართო გამოძახილი ჰპოვა არა მარტო პეტროგრადის მუშებში, არამედ მთელ მაშინდელ არსებულ იმპერიაში. ყველგან ერთი და იგივე ზიზღი გესმოდა ჯალათ რომანოვის მთავრობის წინააღმდეგ. მათი შეხედულებით ერთხელ და სამუდამოთ უნდოდათ ძირიან-ფესვიანად მოესპოთ მუშათა სოციალისტური მოძრაობა მასაში, მაგრამ წინააღმდეგი გამოვიდა: მასსა უფრო ამოძრავდა მეფის და მის ჯალათების წინააღმდეგ და 1917 წელს ის სამუდამოთ დაიმსხვრა.

დაინგრა თვითმპყრობელობა, დაიმსხვრა 300 წლის რომანოვების ტახტი და მის ნანგრევებზე წარმოიშვა მუშათა კლასის და გლეხკაცობის ხელისუფლება.

მუშათა კლასმა მრავალი წლების და მრავალი ათასი მსხვერპლის შემდეგ აიღო ხელში ძალა-უფლება და შეუდგა თავის საკუთარი მუშური სოციალისტური სახელმწიფოს გამოჭედვას.

მუშათა კლასი შესძლებს საკუთარი სახელმწიფოს გამაგრებას და საფუძვლიან ნიადაგზე დაყენებას.

დიდი მტერი, რომელსაც 300 წლის განმავლობაში ფართედ ჰქონდა ძირი გადგმული სამღვდელოების წყალობით, უკვე დიდი ხანია დამარცხებულია და იმ კონტრრევოლიუციას, რომელსაც იმპერიალისტური სახელმწიფოები უმზადებენ მუშურ საბჭოთა ხელისუფლებას,—ისევე დავამარცხებთ, როგორც რომანოვების თვითმპყრობელობა დამარცხდა 1917 წელს და აღიგავა დედამიწის ზურგიდან.

ქ. მაჭარაძე

# ორი დოკუმენტი.

ჩვენ ხელთა გვაქვს ორი საყურადღებო დოკუმენტი, რომელიც ეკუთვნის მენშევიკების უდიდეს ლიდერებს: ნოე ჟორდანიასა და ირაკლი წერეთელს.

პირველი დოკუმენტი წარმოადგენს პროკლამაციას: **„ქართველ ერს“**, იგი დათარიღებულია 1924 წლის ნოემბრის თვით და ხელმოწერილია: „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა. თავმჯდომარე: ნ. ჟორდანია“. ამ „პროკლამაციას“ რამდენიმედ მაინც იცნობს „ქართველი ერი“ სხვათა შორის ყარიბის წიგნიდან.

მეორე დოკუმენტი შეიცავს მოქ. წერეთლის მოხსენებას, რომლითაც ის გამოვიდა 1924 წლის 26 ნოემბერს პარიზში ქართველი ემიგრანტების ეგრეთ-წოდებულ სამგლოვიარო კრებაზე.

ამ მოხსენებას ჯერ ქართველი მკითხველი არ იცნობს. ამიტომ მას სრულიად უცვლელად ვბეჭდავთ ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში.

ორივე ეს დოკუმენტი წარმოადგინს ორ სხვადასხვა გვარ ახსნას და გაშუქებას იმ ავანტიურისას, რომელიც „ნ. ჟორდანიას მთავრობამ“ თავს მოახვია ქართველ ხალხს 1924 წლის აგვისტოში.

ირაკლი წერეთლის მოხსენება თავისთავადაც არ არის მნიშვნელობას მოკლებული, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ ის მხოლოდ იმ მხრით გვაინტერესებს, რომ მასში გაშუქებული აზრები და დებულებები სრული უარყოფაა ნ. ჟორდანიას ზემოთ დასახელებულ „პროკლამაციაში“ გამოთქმული აზრებისა.

საჭიროდ მიგვაჩნია ამ ორი დოკუმენტის ერთმანეთთან დაპირისპირება.

როგორც ვიცით, აგვისტოს შემდეგ, პირველ ხანებში მაინც, ჟორდანიასა და მის „მთავრობას“ თავი ისე ეჭ-

რათ, თითქოს ამ ავანტიურით მათ ქართველი ხალხი გაებედნიერებიოთ:—აბა ერთი შემოგვხედეთ, რა დიდი საქმე ჩავიდინეთ. მთელი მსოფლიო საქართველოზე ავალაპარაკეთო.

აგვისტო-სექტემბრის ამბებს მთელი მსოფლიო გამოეხმაურა. არც ერთ პატარა ერს არ ღირსებია ისეთი საყოველთაო თანაგრძნობაო“.

„თავისუფალი საქართველოს თავისუფალი ხალხი!— მედგრად გაისმა ქვეყნად აგვისტოს გასულს და ამ ყიჟინამ გაახარა მთელი კაცობრიობა“. (იხ. „ქართველ ერს“).

ჩვენ იმ თავიდანვე ვიცოდით, რომ მსოფლიოს ყურიც არ გაუბერტყია ქართველი ხალხის უბედურების გამო. მაგრამ ჩვენში იყვნენ და ალბად, ახლაც მოიპოვებიან ისეთი გულუბრყვილონი, რომელთაც სწამდათ და სწამთ ნ. ჟორდანიას უცოდველი ავტორიტეტი, რომლებსაც მისი ასეთი განცხადება სჯეროდათ. ეს ჟორდანიას კეთილმორწმუნენი ასე მსჯელობდენ:

რა თქმა უნდა, მთელი მსოფლიოს თანაგრძნობა ჩვენს მხარეზეა, მაგრამ ჩვენ ვერაფერს ვგებულობთ, რადგანაც კომუნისტური ცენზურა ჩვენამდე საბჭოთა ხელისუფლების საწინააღმდეგო რამეს როგორ მოუშვებსო.

აი ასეთი „კეთილმორწმუნენი“ ირაკლი წერეთლის მოხსენებიდან გაიგებენ, რომ ნოე ჟორდანიამ და მისმა „დემოკრატ.-მა მთავრობამ“ „ქართველი ერი“ მოატყუეს ვითომდა მათთვის ისეთ ტრაღიკულ მომენტში, როგორიც იყო მათ მიერ მოწყობილი ავანტიურის საშინელი შედეგების დაფასების მომენტი... ჩვენი „ურწმუნო თომები“ ირ. წერეთლის მოხსენებიდან დაინახავენ, რომ აგვისტო-სექტემბრის ავანტიურის გამო თავი არავის შეუწუხებია და ჟორდანიასთვის თანაგრძნობა გამოუცხადებია მხოლოდ მეორე ინტერნაციონალის წევრებს, ესე-იგი იმ წრეებს, რომლებიც ქართველ მენშევიკებს ისედაც თანაუგრძნობდენ. ირ. წერეთლის მოხსენებიდან მკითხველი ხედავს, რომ მეორე ინტერნაციონალის ერთ თვალსაჩინო ბელადს რენოდელს საჯაროთ დაუგმია აგვისტოს ავანტიურა, როგორც ქართველი ხალხის ინტერესებისათვის მავნებელი. („ეს გამარჯვება ბოლშევიკების ხელში ახალი იარაღიაო“).

ჟორდანია-რამიშვილმა წერით და მათ მიერ საქართველოში ავანტიურის მოწყობის მიზნით მოვლინებულმა ემისრებმა სიტყვით ყურთასმენა წაიღეს:

მთელი ევროპის სახელმწიფოები ჩვენთან არის. მხოლოდ ერთი აჯანყება, მხოლოდ ერთი შეიარაღებული გამოსვლა და ევროპის სახელმწიფოები მაშინვე რუსეთს თავს დაესხმიან.. ინგლისისა და საფრანგეთის დრედნოუტები სადესანტო ჯარებით ბათომის მახლობლად რეიდზე დგანან და მხოლოდ თქვენს სიგნალს უცდიანო...

ირაკლი წერეთლის მოხსენებიდან კი სრულიად წინააღმდეგს ვტყობილობთ: ევროპა თურმე ჩვენ რუსეთის წინააღმდეგ არავითარ დახმარებას არ შეგვპირებია. პირიქით, ევროპის ყველა დიდი სახელმწიფოების მესვეურები ყოველთვის გვაფრთხილებდენ თურმე:

„იცოდეთ, თქვენი დამოუკიდებლობის დაცვა თქვენივე საქმეა. არ იფიქროთ, რომ ჩვენ თქვენი გულისთვის რუსეთს შევებრძოლოთ და მასთან დამოკიდებულება გავიფუჭოთო“.

ამას გვეუბნება ირაკლი წერეთელი და მას ამ შემთხვევაში ყველაზე უფრო დაეჯერება.

ნ. ჟორდანია და მისი დემოკრატიული „მთავრობა“ კი, არა თუ ავანტიურის წინათ აიმედებდენ ხალხს ევროპის დრედნოუტებითა და სადესანტო ჯარებით, ამ ავანტიურის სასტიკი დამარცხების შემდეგაც გულს არ იტეხენ და მათ მიერ მოტყუილებულ „ქართველ ერს“ „მთელი მსოფლიოს თანაგრძნობით“ ანუგეშებენ და მით მომავალი ავანტიურისათვის აქეზებენ.

ნ. ჟორდანიამ, რაკი დაინახა, რომ აგვისტოს ავანტიურამ ქართველ ხალხსაც დიდი ზიანი მიაყენა და ევროპაში მოყიალე „დემოკრატიულ მთავრობასაც“ ვერაფერი შესძინა, თანდათან კილო იცვალა და ავანტიურის ინიციატივა სხვებს,სულ პარატა კაცებს, ასე ვსთქვათ,მეისრეებს გადააბრალა: ჯვარს აცვით კოტე ანდრონიკაშვილი. ის ნაციონალ-დემოკრატების ფეხის ხმას აჰყვა და ავანტიურა მოაწყოვო...

ამის შემდეგ ბროშიურებისა და წერილების მთელ რიგში ნ. ჟორდანია ცდილობდა დაემტკიცებია, რომ როგორც ისა და მისი მთავრობა, ისე ს.-დ. ყველა ლიდერები ყოველ ღონეს ხმარობდენ, რომ ხალხს აჯანყება არ მოეწყო მაგრამ მოთმინებიდან გამოსულმა ხალხმა მათ არ დაუჯერა და სტიქიურად გაიტაცა იარაღით ხელშიო.

ირ. წერეთელს ამაში იჭვი შეაქვს. ის თუმცა ჩვეულებრივის „ზრდილობით“, მაგრამ მაინც საკმაო გარკვევით უპასუხებს ამაზე ნ. ჟორდანიას:

„ჩვენი პარტია რომ ილიუზიებს შებრძოლებოდა, შეიძლებოდა ხალხისათვის ეს უბედურება აეცილებია“... „ვერ დავიჯერებ, რომ ჩვენი ხალხი რუსის ჯარის წინააღმდეგ მარტო ნაგანის ამარა გამოსულიყო, რომ მას უცხოეთიდან დახმარების იმედი არ ჰქონოდა“.

ასეთია ამ ორი უჯარო გენერლის აზრი აგვისტო-სექტემბრის ავანტიურის დაფასებაში.

მათ აზრებში კიდევ არის რამდენიმე პრინციპიალური განსხვავება.

ირაკლი წერეთელს თითქოს კიდეც ეშინია, რომ თუ ბოლშევიკები დამარცხდნენ, რუსეთში სამხედრო დესპოტია გამეფდება და საქართველოსათვის ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნებაო.

ნ. ჟორდანია სულ სხვაფერ აზროვნებს: მხოლოდ ბოლშევიკები ნუ იქნებიან და ის ყოველგვარ შავ-ბნელ ძალებს შეურიგდება. მას რუსეთთან კავშირი სულაც არა სურს. ის ისევ ძველებურად გაიძახის: არც აქეთ, არც იქით, პირდაპირ ევროპისაკენო. ა[illegible]ზნის მისაღწევათ ის არაფერ მსხვერპლს არ დაერიდება. ის გვეუბნება:

„ქართველი ხალხისთვის მოსკოვი სამუდამოთ მოკვდა ჩვენსა და მას შორის უკვე გზა არის კლდიანი“.

ირ. წერეთელი ასე ადვილად ვერ ეშვება რუსეთს. ის წინააღმდეგია მოსკოვსა და საქართველოს შორის შუღლის ჩამოგდებისა. ის გვეუბნება:

„ორ ხალხს შორის ეროვნული შუღლის გამწვავება არა თუ ჩვენს მხედველობას ეწინააღმდეგება, არამედ პრაქტიკულად დაღუპვის მეტს არაფერს გვიქადის“...

ასე სხვადასხვა თვალით უყურებენ ჟორდანია და წერეთელი როგორც კერძოთ აგვისტოს ავანტიურას, ისე საერთოდ საქართველოსა და რუსეთის დამოკიდებულებას.

საჭიროდ მიგვაჩნია მკითხველებს აქვე ვაუწყოთ, რომ ირ. წერეთელი დღეს ჟორდანია-რამიშვილის აზრებს იზიარებს. ის მათ „ორბიტში“ მოექცა.

ამბობენ: ირაკლი წერეთელმა თავისი „ოპოზიცია“ უკვე მოსპო და ჟორდანია-რამიშვილს შეუერთდაო.

მართალი მოგახსენოთ, ჩვენ უწინაც არ გვჯეროდა ირ. წერეთლის „ოპოზიციის“ ოპოზიციობა. აბა ვინ, რომელმა მისმა ყოფილმა ამხანაგმა. არ იცის, რომ იგი მუდამ, ყოველგან და ყოველთვის, ნ. ჟორდანიას გავლენის ქვეშ იყო: საითაც ეს უკანასკნელი გაიწევდა, ირაკლი წერეთელიც თან მიჰყვებოდა. ვინ არ იცის, რომ ირ. წერეთელი დღეს ერთ აზრს ამტკიცებდა და ასაბუთებდა, მაგრამ თუ ხვალე დაინახავდა, რომ ნ. ჟორდანია ამ საგანზე სხვა შეხედულებას იცავდა, იგი მაშინვე თავის აზრს უკუ აგდებდა და ჟორდანიას აზრის დამცველად გამოდიოდა.

ეს ასეა, ირ. წერეთელის მერყევ ხასიათს ყველა მისი ყოფილი და დღევანდელი ამხანაგები ძალიან კარგად იცნობენ. მაგრამ მკითხველს, ალბათ, მაინც სურს გაიგოს თუ რაში მდგომარეობდა ირ. წერეთლის ეს უსუსური და უდღეური „ოპოზიცია“.

ჩვენის ღრმა რწმენით, ირ. წერეთლის „ოპოზიცია“ მხოლოდ საზღვარგარეთ მყოფი ქართველი მუშების დასაჭერათ გამოგონილი ხაფანგი იყო და მეტი არაფერი.

როცა აშკარა შეიქნა, რომ აგვისტო-სექტემბრის უმაგალითო ავანტიურამ ევროპაში მყოფ ქართველ მუშებს თვალები აუხილა, როცა ამ მუშებმა იჭვი შეიტანეს თავისი ყოფილ დალაილამა ნ. ჟორდანიას პოლიტიკური ხაზის სისწორეში და საბჭოთა საქართველოზე ოცნებს

დაიწყეს, მაშინ საჭირო შეიქნა ამ მუშების გულის მოგება ევროპაში მათი დატოვების მიზნით. და აი სწორედ ამ დროს ირ. წერეთელი და ამ მუშების გულის მოსაგებათ ქმნის „ოპოზიციას“, რომელიც საბოლოო მიზნათ ისახავს არა ჟორდანია-რამიშვილის დამარცხებას, არამედ ქართველი ემიგრაციის მთლიანობის შენახვას.

აი სწორედ ამ მომენტში, სწორედ ასეთ ფსიხოლოგიურ და პოლიტიკურ ნიადაგზე წარმოიშვა ირ. წერეთლის „ოპოზიცია“ და ოპოზიციონერობა.

მაგრამ ოპოზიცია რა ოპოზიცია იქნებოდა, თუ ცოტა მართალს მაინც არ ეტყოდა თავის მრევლს. და სწორედ ეს „ცოტა მართალი“ სთქვა ირ. წერეთელმა თავის მოხსენებაში. ყაყლ კაკალთ გაგდებინო, ისიც, კარგიაო, იტყვიან ხოლმე და ჩვენ ამ „კაკლისთვისაც“ მადლობა უნდა ვუთხრათ ირ. წერეთელს.

როცა ამ „ოპოზიციაზე“ ვფიქრობთ, ძალა-უნებურად გვაგონდება ის ჭკვიანი მწყემსი, რომელმაც დამშეულ ცხვრის ფარას ხალთაში კატა ჩამოუკიდა. კატა კნაოდა და ხალთაში ხმაურობდა. ამ საკვირველებით განცვიფრებული ცხვრები ხალთას შესჩერებოდენ და სიმშილი კი ავიწყდებოდათ.

პირველად ირ. წერეთლის „ოპოზიცია“ ამ კატის კონცერტის როლს თამაშობდა. მაგრამ მას შემდეგ, რაც ქართველმა ემიგრაციამ ცხვრების როლი უკუ აგდო, რაც ეს ემიგრაცია დაიბგრა და მისმა უფრო აქტიურმა წევრებმა ევროპა მიატოვეს, საქართველოში დაბრუნდენ და ხალხს გვერდში ამოუდგენ. ეს ვითომდა „ოპოზიციაც“ თავის თავად უნდა გაუქმებულიყო. აი ეს არის მიზეზი, რომ ირ. წერეთლის გუდა დაიჩუტა და მისი „კატის კონცერტიც“ მოისპო.

დღეს ნ. ჟორდანიასა, რამიშვილსა და წერეთელს შორის არავითარი განსხვავება არ არის. დღეს პოზიცია და „ოპოზიცია“ შეხმატკბილებულად მოქმედებენ. ისინი ერთ მიზანს ისახავენ, ორივე საბჭოთა საქართველოს ებრძვის და მისი დამხობის მიზნით ორივე ცდილობს ქართველ ხალხს თავს მოახვიოს კიდევ ერთი საშინელი ავანტიურა.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ისინი ამას ვერ შესძლებენ. ქართველ ხალხს შესწევს იმდენი პოლიტიკური უნარი, რომ ასეთ პროვოკატორულ ანკესს არ წამოეგოს. მეტი არ იყოს, აგვისტოს ავანტიურამ ბრმებსაც კი აუხილა თვალები.

**პეტრე გელეიშვილი.**

# ირ. წერეთლის მოხსენება

**(26 ნოემბერი, 1924 წელი).**

ჩემი მოხსენების შინაარსი არის ჩვენი პარტიის ტაქტიკის დაფასება. რაც აქ წაგვიკითხეს, ის მხოლოდ ჩვენში მომხდარ ამბების ნაწყვეტია. საერთო სურათი ხალხის უბედურებისა ყველას თვალწინ გვიდგია.

მგარამ მწუხარება არ კმარა. ჩვენ რევოლიუციონერები ვართ და ვიცით, რომ თავისუფლება უმსხვერპლოთ არ მოიპოვება. ჩვენ უნდა დავაფასოთ აჯანყების შედეგები:

ნ. ჟ. სთქვა:—„არ ვიცით ჩვენს ხალხში ამ ჟამად რა სულის თქმა არისო“—მართალია. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ხალხის თვალი აქეთ, ევროპისაკენ, არის მოპყრობილი. აჯანყების დაფასებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმ შედეგებს, რომელიც მან ევროპაში გამოიწვია. ჩვენი ვალია, ეს დავაფასოთ და ხალხს სინამდვილე დავანახვოთ. უეჭველია, მორალური თანაგრძნობა ჩვენი ხალხის, უთანასწორო ბრძოლამ აქ გამოიწვია, მაგრამ ეს იმ წრეებში, სადაც უამისოდაც თანაგვიგრძნობდენ. მე აზრადაც არ მაქვს, ინტერნაციონალის და ხალხთა ლიგის რეზოლიუციების მნიშვნელობა დავამცირო, მაგრამ განა მოინახება ჩვენ შორის ერთი ისეთი, რომელიც იტყვის: ის სისხლი, რაც ჩვენში დაიღვარა, ამ მანიფესტაციისათვის, საჭირო იყო და ამით მსხვერპლი გამართლებულიაო?

პრაქტიკულად აჯანყებას იმ შეზღუდულ იურიდიულ სფეროშიაც კი, რომელშიც ჩვენი საქმე იმყოფება, მისთვის პლიუსი არ მოუტანია; მე საბუთი მაქვს ვსთქვა, რომ უფრო მინუსი მოუტანა.

თქვენ ყველამ მოისმინეთ ამხ. რენოდელის საჯარო სიტყვა, მან სთქვა: „გამოჯვება ეხლა ბოლშევიკების ხელში ახალი იარაღიაო“.

მე ვიცნობ საქმის მდგომარეობას და ვიცი, რომ ჩვენმა მოწინააღმდეგეებმა, სწორეთ აჯანყების ჩაქრობის შემდეგ მიიტანეს იერიში იმ პოზიციაზე, რომელიც ჩვენ მოვიპოვეთ იმ დროს, როდესაც აჯანყებას არავინ მოელოდა. ჩვენს მეგობრებს ბევრი შრომა დასჭირდათ, რომ ჩვენთვის ძველი პოზიცია შეენარჩუნებიათ. ინგლისზე ალარ ვლაპარაკობ, რადგან იქ მომხდარ განცხადებების შემდეგ ალარავინ იფიქრებს აჯანყებამ ინგლისში ჩვენი საქმე გაამაგრაო.

ეს ფაქტი შემთხვევითი არ არის, ის აიხსნება მით, რომ არც ერთ სახელმწიფოს არ სურს თავის პოლიტიკა, საქართველოს დამოუკიდებლობის რეალურ დაცვას შეუკავშიროს.

ჩვენში რომ დამოუკიდებლობა გამოცხადდა, ბევრი ფიქრობდა: ოღონდ ევროპამ დაინახოს, რომ დამოუკიდებლობის ნიადაგზე ვსდგევართ და ის მოგვეშველება დიპლომატიურათო დე, თუ საჭირო გახდა, მხედრობითაცო.

განსაკუთრებით ინგლისის იმედი ქონდათ, მაგრამ ჩვენი დიპლომატიის ხუთი წლის მუშაობის განმავლობაში, საქართველოს არამც თუ დახმარება არ მიუღია, არამედ დახმარების დაპირებასაც არ ღირსებია.

პირიქით, ინგლისი, საფრანგეთი და სხვა ქვეყნების წარმომადგენლები, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც იურიდიულ ნიადაგზე მხარს უჭერდნენ, ხაზგასმით განგვიცხადეს:—იცოდეთ, დაცვა თქვენი დამოუკიდებლობისა თქვენი საქმეაო. არ იფიქროთ, რომ ჩვენ თქვენი გულისათვის რუსეთს შევებრძოლებით, ან მასთან დამოკიდებულებას გავიფუჭებთო. ამას საჯაროდაც ამბობდენ, როგორც მაგალითად, კერზონის ნოტაში, ხალხთა ლიგის დებატებში საქართველოს დაშვების შესახებ და სხვა შემთხვევებში.

საქართველოს დაპყრობის დროს ევროპის ქცევა ამ სიტყვებზე კიდევ უფრო მჭევრმეტყველური იყო და ამ მხრით ახალი საბუთი არ გვეჭირვებოდა.

ასეთ პირობებში მოხდა ჩვენში აჯანყება. ვერ დავიჯერებ, ჩვენი ხალხი მარტოთ ნაგანის ამარა, რუსეთის ჯარის წინააღმდეგ გამოსულიყო, რომ მას უცხოეთიდან დახმარების იმედი არ ქონოდა. ეჭვს გარეშეა ისიც, რომ მას სინამდვილეში არავითარი საფუძველი არ ქონია. ჩვენი პარტია მთელი თავისი ძალით, რომ ამ ილიუზიას შებრძოლებოდა შეიძლება ხალხისათვის უბედურება აეცილებია.

რაც მოხდა იმას ვერ გავასწორებთ, მაგრამ მომხდარი გაკვეთილი უნდა გამოვიყენოთ, რომ მომავალში ასეთი უბედურების განმეორება ავიცდინოთ. ჩვენმა პარტიამ ძირიანათ უნდა გადასინჯოს თავისი ტაქტიკა. სამხედრო ორგანიზაციების მოწყობის და აჯანყების გეზი მან უნდა საბოლოოთ უარყოს. ქართველ ხალხს საკუთარ ძალა არ შესწევს საკუთარი ძალით თავი გაინთავისუფლოს. ამ გზაზე დგომა ჩვენს პირობებში ნიშნავს რუსეთთან შეიარაღებულ ბრძოლას ევროპის დახმარების იმედით. და ეს ჩვენს ხალხს იმავე ბედს მოუმზადებს, რაც ოსმალეთის სომხეთს მოევლინა.

ამ პოლიტიკას ჩვენში კიდევ ნაკლები გამართლება ექნება, ვიდრე სომხეთში. სომხების სასარგებლოთ დიპლო-

მატიური ბრძოლა მაინც სწარმოებდა, მიუხედავათ იმისა. ოსმალეთის სომხეთი მაინც მოისპო, რადგან ოსმალეთთან შეიარაღებულ ბრძოლაში არავინ მიეშველა.

ჩვენ კი საქმე გვაქვს რუსეთთან, რომელსაც, თვით ბოლშევიზმის ბატონობის დროსაც კი, ევროპა მეტ ანგარიშს უწევს, ვინემ ოსმალეთს.

ჩვენთვის დიპლომატიურ ბრძოლასაც არავინ აწარმოებს. არის ლაპარაკი მხოლოთ იურიდიულ უფლებების შერჩენაზე, და ესეც გვიჭირს.

ასეთ პირობებში, განა გვექნება რაიმე გამართლება, დაშნაკელების შეცდომები გავიმეოროთ? ჩვენ ცრუ იმედების მეტი არაფერი არ მოგვეპოვება.

არიან სახელმწიფოები, რომელთაც რუსეთთან საქმე მოწესრიგებული არა აქვთ. მაგ. პოლონეთი და რუმინია, მათ შეიძლება რუსეთთან კონფლიქტიც მოუვიდეთ, მაგრამ, თუ ამ კონფლიქტების იმედზე ავაგეთ ჩვენი პოლიტიკა, თუ რუსეთს ვაგრძნობინეთ, რომ ყოველ გართულების დროს ჩვენგან ხიფათს მოელის, იცოდეთ საშინელ ბედს მოუმზადებთ ჩვენს ხალხს:—მისს წინააღმდეგ მიიმართება, არა მარტო ბოლშევიზმის, არამედ მთელი რუსეთის ძალა.

რა გამოსავალი აქვს ჩვენს ხალხს?

ბოლშევიზმის უღლიდან ჩვენ გარეშე ძალა ვერ გვიხსნის. თვით რუსეთში უნდა მოხდეს გადამჭრელი ამბები. საქართველოს თავისუფლება განხორციელდება მაშინ, როდესაც რუსეთში ისეთი წყობილება დამყარდება, რომელიც ამ თავისუფლებას შეურიგდება. რუსეთის შინაგან განვითარებას, მასში დესპოტიის მოსპობას ჩვენი ბედისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

არ ვფიქრობ, რომ ბოლშევიზმს, დემოკრატია მოყვეს; უფრო მოსალოდნელია, სამხედრო დიქტატურა. მაგრამ სანამ ამა თუ იმ სახით იქ დესპოტია იქნება, ის ჩვენც სულს არ ამოგვათქმევინებს. ჩვენ უნდა შევუთანხმოთ ჩვენი ბრძოლა რუსეთის განმანათავისუფლებელ ბრძოლას. ევროპის გზას რუსეთი ვერ აცდება ბოლოს და ბოლოს. ამ არეულობიდან მას მხოლოთ დემოკრატიული წყობილების დამკვიდრება გამოიყვანს.

ჩვენ უნდა შევუთანხმდეთ დესპოტიასთან მებრძოლ რუსეთის ძალებს და მათთანვე, შეთანხმებით მომავალში უნდა დავამკვიდროთ ჩვენი ხალხის თავისუფალი ცხოვრება. ეს არ ნიშნავს დამოუკიდებლობის ნიადაგის უარყოფას. ჩემთვის ამ შეხედულებას არ შეუშლია ხელი 5 წლის განმავლობში, აქ დამოუკიდებლობის ნიადაგზე მემუშავნა.

საქართველოს დამოუკიდებლობა დიდი განცდა იყო ჩვენი ხალხის ცხოვრებაში. ის ისეთ პირობებში გამოცხადდა, როდესაც ის ერთად ერთი ხსნა იყო. დღესაც ამ საფუძველს ვერ მივატოვებთ. რუსეთში, ისეთი ამბები მოხდა, რომელმაც ხალხთა ცხოვრება ერთიანათ შეარყია.

ამ ცხოვრების ხელ-ახალ მოსაწყობათ, მკვიდრ კალაპოტში ჩასაყენებლათ, თითოეული ხალხი თავისუფალ ეროვნულ ერთეულათ უნდა გამოვიდეს, და როგორც ასეთი უნდა შეუთანხმდეს დანარჩენებს, მომავალ ცხოვრების ფორმებზე. რომ ჩვენს მოთხოვნას, რომ ხიშტით ჩვენი ბედი არავინ გადასწყვიტოს, რომ ჩვენ გველაპარაკონ, შეგვეთანხმონ, როგორც სრულ უფლოვან ერთეულს, —ევროპის დემოკრატიის საზოგადო აზრი მხარს უჭერს, მას მხარს უჭერს რუსეთის დემოკრატიაც,—და ვერც ერთი კულტურული მთავრობა ჩვენს მოთხოვნას გვერდს ვერ აუხვევს.

აი, ამ ხაზის გათვალისწინება ჩვენი ხალხისთვის მისი პოლიტიკური და კულტურული შეკავშირება, ყოველდღიურ ცხოვრებაში, მისი ხელმძღვანელობა, მისი გაცნობა რუსეთის საერთო მდგომარეობასთან და ევროპის ვითარებასთან უნდა გახდეს ჩვენი პარტიის მოქმედების ერთად ერთი საგანი და ეს ბევრათ უკეთ, მოამზადებს ჩვენს ხალხს დესპოტიასთან საბრძოლველათ, ვიდრე სამხედრო ორგანიზაციების და გარეშე დახმარების მოლოდინი.

და თუ რევოლიუციონურ გამოსვლისათვის საერთო პირობები შემზადდა, სწორეთ ეს გზა შეარჩენს ჩვენს ხალხს ამ გადამწყვეტ წამისთვის მთელ მისს ძალას.

### შეკითხვები:

**ასათიანი:** რა სახის მუშაობაა საჭირო პრაქტიკულათ?

**პასუხი:** ჩემს მოხსენებაში დავახასიათე ის ხაზი, რომელიც ჩვენს პროპაგანდაში უნდა გატარებულ იყოს. პროპაგანდას, როგორც ყოველთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს, გარდა იმისა, ჩვენი პარტია ყოველდღიურ საკითხების გადაწყვეტაში ხელმძღვანელობას უნდა უწევდეს ქარხანაში და სოფელში, ისე, როგორც თვითმპყრობელობის დროს ვშვრებოდით, ჩვენი პოლიტიკურ და სოციალურ პროგრამის ნიადაგზე. ეს ძნელია ბოლშევიზმის რეჟიმის დროს, მაგრამ არა უფრო ძნელი, ვიდრე მხედრულ ორგანიზაციების მოწყობა. მუსოლინიც ხალხს განძრევის ნებას არ აძლევდა, მაგრამ სოციალისტურ პარტიას მუშაობა არ შეუჩერებია, და ხედავთ როგორ ირყევა ფაშისტების დესპოტია? ბოლშევიზმი კიდევ უფრო დესპოტიურია, მაგრამ ცხოვრებას ვერც ის ჩაჰკლავს.

**ლორდკიპანიძე:**

არის თუ არა განსხვავება ეროვნულ და კლასიურ ბრძოლაში, და თუ კი არის, რა სახის?

**პასუხი:** ეროვნული პოლიტიკა არის ნიშანი კლასიური პოლიტიკისა. თვითეულ კლასს თავის საკუთარი ეროვნული ბრძოლა სწამს. ბურჟუაზიული კლასისათვის ეროვნული ბრძოლა ნიშნავს თავის ერის სხვებისთვის ნაციონალურ ნიადაგზე დაპირდაპირებისა და ომის მეთოდების კითხვის გადაჭრას. მუშათა კლასი ომის მეთოდებს დამღუპველათ სთვლის და მათ უპირდაპირებს დემოკრატიულ მეთოდებს: ხალხთა შეთანხმებას და თვით გამორკვლევის პრინციპს.

ომის გზით კითხვის გადაჭრის წინააღმდეგ სოციალისტები ხშირათ გამოსულან, იმ შემთხვევაშიაც კი, როდესაც საქმე ეხებოდა ოკუპაციის ქვეშ მყოფ ხალხის განთავისუფლებას. ამის მაგალ. საფრანგეთმა მოგვცა ომის წინ. როდესაც ელზას ლორენი გერმანიის ოკუპაციის ქვეშ იყო საფრანგეთის სოციალისტები მთელი თავისი ძალით ეწინააღმდეგებოდენ ომის გამოწვევას ელზას ლორენის გულისთვის. ელზას ლორენის განთავისუფლებას ისინი გერმანიის დემოკრატიის განვითარებას უკავშირებდენ. ჩვენს მდგომარეობაში, ომის ქადაგი კიდევ უფრო შეუფერებელია, რადგან ჩვენი გულისთვის რუსეთს არავინ ეომება. ჩვენი საკუთარი სამხედრო ძალით კი რუსეთს ვერ დავსძლევთ.

როდესაც ზოგიერთები ამბობენ რუსეთი უნდა დაინგრეს, რომ ჩვენი ხალხის ბედი მის ნანგრევებზე უნდა ხავაგოთო—ეს ნაციონალური მსჯელობის ტიპიური ნიმუშია. იმდენი ძალა, რომ ჩვენ მოგვერიოს, რუსეთს მუდამ ექნება.

ორ ხალხს შორის ეროვნული შუღლის გამწვავება, არამც თუ ჩვენს მსოფლმხედველობას ეწინააღმდეგება, არამედ პრაქტიკულადაც დაღუპვის მეტს არაფერს გვიქადის:

**შავიშვილი:** სომხეთის ბრძოლა ოსმალეთთან რელიგიურ ნიადაგზე სწარმოებდა, როგორ შეიძლება საქართველოს ნაციონალურ ბრძოლას შევადაროთ იგი? რუსეთის სოციალისტ - რევოლიუციონერების შეხედულება ჩვენს დამოუკიდებლობაზე განა არ შეიცვალა აჯანყების შემდეგ ჩვენს სასარგებლოთ.

**პასუხი:** 1) სომხეთის ბრძოლა ერსებითად იყო არა რელიგიური, არამედ ნაციონალური; რელიგიური მომენტი შიგ დაახლოვებით ისეთსავე როლს თამაშობდა, როგორც ბოლშევიკებისაგან ჩვენში საყდრების დახურვა. 2) სოციალისტ-რევოლიუციონერების დამოკიდებულება არ შეცვლილა. სწორედ იმდენადვე გვიჭერენ დღეს მხარს როგორც წინათ.

# „ბრძოლა"-ს.

დიდ დროსა და დიდ ენერგიას ანდომებს რამიშვილის ორგანო „ბრძოლა" ჩვენთან, „ახალგზელებთან" ბრძოლას. სისტემატიურად და განუწყვეტლივ, ნომრიდან ნომერში, რამიშვილის პატარა ფინიები და დრო გამოშვებით თვით მთავარი ბობოლებიც გააფთრებულნი და ბრაზმორეულნი ავლაბრული კილოთი ცდილობენ დაამტკიცონ მხოლოდ ერთი რამ, სახელდობრ ის, რომ არაფრად არ ვარგან ძამანაშვილი და კუპრაშვილი, მათზე უვარგისნია ხელაძე და სულაქველიძე, წყალწაღებულნი და უბადრუკნი არიან სხვა ახალგზელებიც.

საქართველოს ცხოვრებაში მოხდა უდიდესი პოლიტიკური აქტი: მშრომელი ხალხის უდიდესმა და საუკეთესო ნაწილმა უკუაგდო ძველი მენშევიკური მსოფლმხედველობა და შეითვისა და შეისისხლხორცა მისი გუშინდელი ბრძოლის ობიექტის, მისი მოწინააღმდეგე პოლიტიკური პარტიის შეხედულებანი, გვერდში ამოუდგა და თავგანწირვით იბრძვის იმ საქმის განსამტკიცებლად და განსახორციელებლად, რომლის დამხობას და განიავებას გუშინ იარაღით ხელში ელტვოდა.

და ჩვენი ცხოვრების ეს უმაგალითო და ღირსშესანიშნავი პოლიტიკური აქტი რამიშვილის მომხრეთათვის ძამანაშვილისა და კუპრაშვილის, ხელაძისა და სულაქველიძის უვარგისობით და სიგლახით ამოიწურება. და ეს მაშინ, როდესაც ჩვენ, ახალგზელებმა, რამიშვილებსა და მათ დამქაშებზე უკეთ ვიცით, რომ ყველა ჩვენ უდიდესი გაკიცხვისა და ლანძღვა-გინების ღირსნი ვართ, რომ ჩვენ მართლა არაფრათ არ ვარგვართ.

ეს რომ ასე არ იყოს, განა შეიძლება რითიმე ავხსნათ ის, რომ მთელი ექვსი-შვიდი წლის განმავლობაში ჩვენ ბრმა, უმეტყველო იარაღი ვიყავით იმ ვაჟბატონების ხელში, რომლებიც სოციალიზმის სახელით ნამდვილ ფაშისტურ, ხულიგნურ და რეაქციონურ საქმიანობას ეწეოდენ? რომ ჩვენ მართლა გლახანი არ ვიყოთ, შესაძლებელია, ჩვენთვის შეუმჩნევლად ჩატარებულიყო ის იდეური რენეგატობა, რომელიც საქართველოს სოციალ-დემოკრატიამ ჟორდანია-რამიშვილის ხელმძღვანელობით განიცადა რუსეთის რევოლიუციის ხანაში?

არა, მეგობრებო, ჩვენ თქვენზე უკეთ ვიცით, რომ ჩვენ მთელი ისტორიის წინაშე და, განსაკუთრებით, ქართველი ხალხის მიმართ, დიდი დანაშაული გვაქვს ჩადენილი და ეს დანაშაული განსაკუთრებით მით რთულდება, რომ ჩვენს გამოსაფხიზლებლად და ჩვენ მუნჯთა ასალაპარაკებლად საჭირო შეიქნა ქართველი ხალხის უსაშინელესი ტრაღედია, ჩვენი თვალის ასახელად და ჩვენი სოციალისტური სინიდისის გამოსაფხიზლებლად აუცილებელი გახდა თქვენი ფაშისტური ტაქტიკით გამოწვეული ქართველი ხალხის საუკეთესო შვილთა სისხლის დანთხევა. არა, ჩოლოყაშვილთა და ოდენკურის გმირთა თანამოაზრენო, სადაო საკითხი ჩვენსა და თქვენს შორის ჩვენი პიროვნების სიგლახე თუ სიკარგე არ გახლავთ.

სადავო საკითხი აქ სულ სხვაა და აი, სახელდობრ, რა: ვინ უღალატა თავის წარსულს, ვინ გასთელა ფეხით და მტვრად აქცია ის იდეები, რომელთა ხალხში გავრცელებას და განმტკიცებას ყველამ ჩვენ ერთად შევსწირეთ მთელი ჩვენი ახალგაზრდობა, მთელი ჩვენი წარსული,—თქვენ თუ ჩვენ?

ვინ უღალატა იმ რევოლიუციონურ-მარქსისტულ მსოფლმხედველობას, რომლის სახელით თქვენ დღესაც კი—დღეს, მართალია, უსუსურ ბავშვთა თვალის ასახვევად—ფიცულობთ: თქვენ თუ ჩვენ?

და თუ თქვენ გსურთ ამ საკითხზე ნათელი და ჭეშმარიტი პასუხი მიიღოთ, გადახედეთ მთელ თქვენ მოღვაწეობას იმ დღიდან, რაც რუსეთის დიდმა რევოლიუციამ ქართველი ხალხის საუბედუროდ თქვენ მინისტრობის თამაში დაგაწყებინათ. და რომ თქვენ დაკარგული არ გქონდეთ ყოველგვარი უნარი სამართლიანობისა და პოლიტიკური სისპეტაკისა, რომ თქვენ შეგეძლოთ გამოაშკარავება და აშკარად თქმა იმის, რაც თქვენ ქართველი ხალხის სოციალისტური ნაწილის სახელით მოიმოქმედეთ თქვენი ევროპაში გახიზვნის შემდეგ, თქვენ ზიზღით მხარს შეგაქცევდენ არა მარტო მეორე ინტერნაციონალის მესვეურნი, არამედ თქვენი დღევანდელ თანამოაზრეთა 90 პროცენტიც კი.

ამისათვის საკმარისია ინებოთ და გამოაქვეყნოთ მხოლოდ და მხოლოდ კოწია გვარჯალაძის მიწერ-მოწერა სტამბოლიდან რამიშვილისადმი, რამიშვილისადმი და არა მთავრობისადმი, რადგან პირველი ბევრათ უფრო ვრცელი და საინტერესო ცნობებს შეიცავს თქვენს მუშაობაზე საზღვარგარეთ.

ამ წერილებიდან ერთხელ და სამუდამოთ გამოაშკარავდება ძველი ქვეყნისათვის, რომ თქვენი სოციალისტობა დიდი ხანია შესცვალეთ ევროპის ფაშისტურ მთავრობათა საიდუმლო აგენტობაზე, თქვენი მარქსისტული მსოფლმხედველობა ანაცვალეთ „კონტრრაზვედკულ" აზრთა კონცეპციას.

ის, რაც „ბრძოლა"-ში იწერება, ის, რასაც ნოე ჟორდანია თავის ბროშურებში ღეჭავს ვითომდა თქვენი მოღვაწეობის და „ბრძოლის" იდეურათ გასამართლებლად, ეს უბრალო სიტყვებია მხოლოდ სულელთა თვალის ასახვევად.

ნამდვილი თქვენი მისწრაფება, თქვენი დღევანდელი ნამდვილი შეხედულებანი აი ამ საიდუმლო მიწერ-მოწერაშია ჩანთხეული და გატარებული. მხოლოდ აქედან შეიძლება გაიგოს ადამიანმა, თუ ვინ ბრძანდებით თქვენ დღეს, ვისა და რას ემსახურებით თქვენ.

ლენინმა რენეგატი უწოდა კაუცკის იმისათვის, რომ კაუცკი იდეურად გადაცდა იმ გზას, რომლითაც ის ვიდოდა იმპერიალისტურ ომამდე.

რა სახელწოდება შეიძლება გიწოდოთ თქვენ, თქვენ, რომლებმაც ბრძოლა სოციალიზმისათვის შესცვალეთ ბრძოლათ ფაშიზმისათვის, თქვენი ერთ დროს სოციალისტური ორგანიზაციები გარდაქმენით ჯაშუშურ ორგანიზაციებად?

მაგრამ ყველაზე უფრო სამწუხარო და სავალალო აქ ის არის, რომ ამ თქვენს არქირეაქციონურ საქმიანობის მსხვერპლად გინდათ შეიწიროთ ქართველი ხალხი. ერთხელ ამგვარმა თქვენმა ცდამ ნაყოფი გამოიღო. თქვენ ამით არ კმაყოფილდებით, თქვენ დღეს კიდევ უფრო მეტი სისაძაგლის ჩადენა გსურთ: ვითომდა ქართველი ხალხის „გასათავისუფლებლად" აპირებთ ქართველი ხალხის გამოყენებას ევროპის უკიდურეს ხულიგანთა ზრახვების განსახორციელებლად, რათა პირნათლად შეასრულოთ ის როლი, რომელიც თქვენ იკისრეთ ევროპის ფაშისტურ მთავრობების წინაშე.

მაგრამ ერთში სტყუვდებით: წავიდა ის დრო, როდესაც ქართველი ხალხი ნდობით უსმენდა თქვენს სიტყვებს. დღეს მან უკვე იცის ვინ და რა ბრძანდებით თქვენ, საით აპირებთ თქვენ ქართველი ხალხის წაყვანას..

**კ. სულაქველიძე.**

# ნუ ვაჭრობთ ხალხის სისხლით.

ვინც ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში ევროპის პოლიტიკურ ცხოვრებას თვალ-ყურს ადევნებს, ის ერთ რამეს უეჭველად შეამჩნევდა: ყოველ ზამთარში ევროპის დიპლომატია ასტეხს ხოლმე ერთ აურ-ზაურსა და ორომტრიალს. ყოველ ზამთრობით ეწყობა ახალ-ახალი პლანები იმის შესახებ თუ როგორ მოახერხონ რუსეთის საბჭოთა კავშირის ინტერვენცია, როგორ დაამარცხონ იგი, როგორ დაიხსნან ბურჟუაზიული ქვეყანა წითელი მოსკოვის საფრთხისაგან...

იქმნება ათასნაირი პოლიტიკური კომბინაციები... პა-

ტარა ანტანტა, ბრძოლის მანიით შეპყრობილი პოლონეთის გამოყენება, მისი და გერმანიის ინტერესების რუსეთის ხარხარზე მორიგება, ორივე ამ სახელმწიფოების რუსეთის წინააღმდეგ ამხედრება და სხვა და სხვა.

რამდენს ჰქუხს იმდენს არა წვიმს, ამბობს ჩვენი ხალხის სიბრძნე და უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ქუხილიც ისე უშედეგოთ ჩაივლის, როგორც ბევრჯერ ჩაუვლია. ცხადია, ახლა ომის წელი არავის არ შესწევს. წარსულმა იმპერიალისტურმა ომმა ყველას დაანახვა, რომ დღეს ომი არც ისე ადვილი საქმე ყოფილა... ბურჟუაზიის ბელადებმა ჩინებულად იციან, რომ წარსული ომიანობით „ჭკუა ნასწავლი“ ხალხი არც ისე ადვილად მოისურვებს თავისი საკუთარი სისხლის დაღვრას ბურჟუაზიის ინტერესების დასაცველად. ესეც არ იყოს ის ხომ მაინც აშკარაა, რომ მომავალ ომებს ევროპის ბურჟუაზიისთვის აუცილებლად უნდა მოჰყვეს ის შედეგი, რაც წარსულმა ომიანობამ რუსეთს მოუტანა.

ბურჟუაზიის ლიდერებმა ეს ჩინებულად იციან, მაგრამ ისინი მაინც ხმაურობენ, მაინც ამზადებენ თოფ-ზარბაზნებს და მათ მესაფლავეს—წითელ მოსკოვს წარღვნით ემუქრებიან.

უნდა ვიფიქროთ, რომ ევროპის ბურჟუაზიის დღევანდელი ახმაურება „საგაზაფხულო მზადება“—ეს მხოლოდ მორიგი ახმაურებაა მტრის დასაშინებლად და მეტი არაფერი.

დეე იხმაუროს ევროპის ბურჟუაზიამ. მაგრამ ჩვენთვის, ქართველებისათვის, აქ მხოლოდ ერთი რამ არის საყურადღებო. თანამედროვე გაზეთების დაკვირვებული მკითხველი ალბათ შენიშნავდა, რომ ევროპის ბურჟუაზიის ყველა ასეთ ახმაურებას თან მოსდევს პარიზში მოკალათებული ნოე ჟორდანიას „მთავრობის“ ახმაურებაც. ეს ულმობელი ისტორიის მიერ საუკუნოთ დასამარებული „მთავრობაც“ ყოველთვის, ევროპის ბურჟუაზიის ახმაურებასთან ერთად, საიქიოდან რაღაც ჯადოსნობით გამოწვეულ მკვდარ სულებსავით, ევლინება ქვეყანას.

რა სურთ ამ მკვდარ სულებს? ნუ თუ კოტა საკურთხი მიიტანა მათ საფლავზე ქართველმა ხალხმა?

იმათ კარგად იციან, რომ ევროპის ბურჟუაზიის მზადებას არავითარი კარგი შედეგი არ მოყვება, მაგრამ მათ ეს სხვისი ფეხის აყოლა, ბურჟუაზიისათვის ასეთი გამოხმაურება მათ ესაჭიროებათ დიპლომატიური მოსაზრებით. ეს მათ ესაჭიროებათ ქართველ ხალხში პრესტიჟის მოსაპოებლად. მართლაც რომ გაწყრეს ჩვენში უკვე უარყოფილი ღმერთი და ევროპამ წითელი მოსკოვი დაამარცხოს, ქართველი ხალხი მაშინ არ დაივიწყებს ჟორდანიასა და მისი „მთავრობის“ ღვაწლს და ძველებურად მიიღებს მათ.

აი ერთად-ერთი მოსაზრება, რომლითაც ხელმძღვანელობენ ეს მკვდარი სულები. ისინიც მოჰყვებიან ევროპის ბურჟუაზიის ფეხის ხმაზე აურ-ზაურს და მით სურთ ქართველ ხალხს აგრძნობინონ: **ჩვენც ვხნავთო.**

მკვდარი სულების სურვილი ადვილი მისახვედრია: მათ საიქიოს ყოფნას, სააქაოს მთავრობის სავარძელში მოკალათება ურჩევნიათ. მაგრამ, როცა საქართველოს ს.-დ. მ. პარტიის წარსულ მოღვაწეობას ვითვალისწინებთ, პირდაპირ დაუჯერებლად მიგვაჩნია, რომ ამ ყოფილი პარტიის ყოფილი მეთაური ნოე ნიკოლოზის ძე ჟორდანია ისეთი საფასით ცდილობს თავისი მიზნების მიღწევას, რაც ყოვლად მიუღებლად იყო მიჩნეული საქ. ს.-დ. მ. პარტიის პრაქტიკაში.

რა გზით, რისი იმედით სურს ნ. ჟორდანიას და მის „მთავრობას“ თავისი მიზნების განხორციელება?

ევროპის ბურჟუაზია რუსეთის საბჭოთა კავშირს თავს დაესხმის, მენშევიკებისა და ნაციონალ-დემოკრატების საქართველო, მუსევატის აზერბეიჯანი, დაშნაკელების სომხეთი, ბამმატოვებისა და კანტემიროვების მთიელთა რესპუბლიკები მოსულ მტერს შეუერთდებიან საბჭოთა რუსეთის, ესე-იგი თავისი საკუთარი სახელმწიფოს წინააღმდეგ, საბჭოთა ხელისუფლებას ჩამოაგდებენ და ამ საუკუნოთ დამარხულ „მთავრობებს“ აღადგენენ.

ასეთია ამ უპასუხისმგებლო ხალხის ჭკუის ნაცოდვილარი პლანები.

მერე ეს ხალხის სისხლით ვაჭრობა არ არის?

დავიჯეროთ, რომ ევროპის ბურჟუაზიამ ამდენი ქადილის შემდეგ გაბედა საბჭოთა რუსეთზე თავს დასხმა. მერე კავშირის წევრები მტრებს უნდა შეუერთდენ?

ნ. ჟორდანიას და მისი „მთავრობის“ ეს პლანები ხომ სცადეს დაშნაკელებმა სათათრეთის სომხეთში, რითაც მათ ხალხს საფლავი გაუთხარეს. ეს ხომ ჩინებულად იცოდენ ნ. ჟორდანიამ და მისმა „მთავრობამ“. მაგრამ, ეტყობა ევროპაში ხეტიალის დროს მათ არა თუ არაფერი არ უსწავლიათ, რაც იცოდენ ისიც დაივიწყებიათ.

მოვაგონოთ ამ მკვდარ სულებს როგორ მსჯელობდა ამ საგანზე ს. ს.-დ. მ. პარტია, როცა ის მართლა პოლიტიკურ პარტიას წარმოადგენდა და არა რაღაც თვალთმაქცობით საიქიოდან გამოწვეულ სულებს.

მოვიყვანოთ რამოდენიმე ფაქტი ს. ს.-დ. მ. პარტიის ახლო წარსულიდან.

მკითხველს, ალბათ, ახსოვს, რომ გერმანია, როცა იგი ომისთვის ემზადებოდა, მთელი თავისი ძალ-ღონით შეეცადა რუსეთისა და საფრანგეთის ქვეშევრდომი სხვადასხვა უკმაყოფილო ერები აეჯანყებია და მით ეს მთავარი მტრები შიგნიდან აეფეთქებია.

თავისი პლანების განხორციელების მიზნით გერმანიამ ევროპის ყველა დიდი ქალაქები მოფინა „დაჩაგრული ერების განმანთავისუფლებელი“, „დამცველი“ და სხვა ასეთი მყვირალა სახელის საზოგადოებებით.

გაჩნდენ კავშირები უკრაინის, საქართველოს, სომხეთის და საზოგადოთ ყველა იმ ერებისა, რომელთაც სრული საბუთი ჰქონდათ თვითმპყრობელი რუსეთის წინააღმდეგი ყოფილიყვენ.

გერმანიის გენერალურმა შტაბმა მისცა სიგნალი: მოეწყოს აჯანყებები რუსეთსა და საფრანგეთის აფრიკის კოლონიებშიო“.

დატრიალდა გერმანიისა და ავსტრო-უნგრეთის პოლიტიკური ჯარა. დაფაცურდენ ამ სახელმწიფოების ოქროთ მოსყიდული აგენტების მთელი ბატალიონები...

მაგრამ საქართველოს ს.-დ. მ. პარტიამ კინკრიხის ბოძზე გააკრა ისინი, ქვეყნის მოღალატედ გამოაცხადა.

რატომ? იმიტომ, რომ მან, ს. ს.-დ. მ. პარტიამ, როგორც რუსეთის, ისე საქართველოს ხალხის ღალატით მიიჩნია ის, რომ ამ ხალხს ურჩევდენ თუმცა მისი სულის შემხუთველი თვითმპყრობელობის, მაგრამ მაინც თავისი საკუთარი სახელმწიფოს ღალატს და ამ სახელმწიფოს შემოსეული მტრების ხელით დამარცხებას.

აი რა პასუხი გასცეს ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა ჟენევაში, სადაც ამ საქმეს აწყობდენ გერმანიის ოქროთი მოსყიდულ აგენტებს მათი ავანტიურისტულ წინადადებაზე:

„ჩვენ, ს. ს.-დემოკრატები, რუსეთის ს.-დ. მ. პარტიის წევრები, ვიბრძოდით და ვიბრძვით რუსეთის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ რომელიც შეუძლებლად ხდის ყოველგვარ დემოკრატიულ მოძრაობას და ღეხითა სთელავს ყველა ნაციების ინტერესებს. მაშასადამე ჩვენ დავიხმარებით ყოველ რევოლიუციონურსა და ნაციონალურ მოძრაობას. თუ კი ის მიმართული იქნება რუსეთის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ და ის მოძრაობა მიმართული იქნება პროლეტარიატის სასარგებლოდ.

მაგრამ იმ ორგანიზაციების საპასუხოთ, რომლებიც მუშაობენ გოგენცოლერნებისა და გაბსბურგების მფარველობის ქვეშ, ჩვენ საქვეყნოთ ვაცხადებთ, რომ ჯერ ჩვენ არ ვიცით არც ერთი ერი რომელიც მათ გაენთავისუფლებინოთ. პირიქით., გოგენცოლერნებმა დაარბიეს ისეთი ერი, როგორიც არის ბელგია; რაც შეეხება გაბსბურგების მონარქიას, ისიც ისე, როგორც რუსეთის ცარიზმი, მიზნათ ისახავს სხვადასხვა ერების დამონებასა და განადგურებას. მათი ახალი მოკავშირე სათათრეთი ხომ ცნობილია მისივე სახელმწიფოში მობინადრე პატარა ერების ხოცვაჟლეტითა და აკლებით.

ყოველი ეს მოსაზრება უფლებას გვაძლევს საქვეყნოდ განვაცხადოთ, რომ ჩვენ მხოლოდ ზიზღით გავსცემთ პასუხს ამ მოსყიდული ორგანიზაციების მოსყიდულ აგენტების წინადადებაზე“. (იხ. წავა ფრანგული).

ასეთივე განცხადებით გამოვიდა ს. ს.-დ. მ. პარტიის წარმომადგენელი ქ. ლოზანაში „დაჩაგრული ერების კონგრესზე“ 1916 წელს.

...„ქართველი ხალხი იბრძოდა და იბრძოლებს მხოლოდ მოწინავე დემოკრატიასთან ერთად. მას სრული უფლება აქვს იფიქროს, რომ ის გაიმარჯვებს თავის შინაურ მტერ თვითმპყრობელობაზე ამ დემოკრატიასთან ერთად. მაგრამ ის არასოდეს არ მიემხრობა თავისი სახელმწიფოსა და დემოკრატიის მტრებს, ის არ უღალატებს თავის საკუთარ სახელმწიფოს მაშინაც კი, როცა ამ სახელმწიფოს ბედს მისი სისხლის მწოველი თვითმპყრობელობა განაგებს“. (იქვე გვ. 106).

აი პასუხი ს. ს.-დ. მუშათა პარტიისა ანალოგიურ შემთხვევაში.

ასეთ პასუხს აძლევდენ ამ პარტიის წარმომადგენლები საზღვარგარეთელ აგენტებს ავანტიურულ წინადადებაზე.

აბა ეხლა იმის მაგალითიც მოვიყვანოთ თუ როგორ უცქეროდა ეს პარტია ამ საქმეს აქ, საქართველოშივე.

1914 წელს, როცა თათრის ჯარებმა ისხან-ფაშას მეთაურობით სარაკამიში აიღეს,, თბილისი დღითი-დღე აკლებას მოელოდა, ხელისუფლების უმაღლესი წარმომადგენლები გასაქცევად ემზადებოდენ, თბილისიდან მთელი სამუზეუმო და საისტორიო მასალები შიგა რუსეთში გაზიდეს; სწორეთ ამ დროს ს. ს-დ. მ. პარტია სახელმწიფო სათათბიროს ს.-დ. ფრაქციის თავმჯდომარე ნ. ჩხეიძის პირით ნიკოლოზ მეორეს მოადგილეს ქართველი თავადაზნაურობის მარშლებთან ერთად ქართველი ხალხის ლოიალობაზე ეფიცებოდა.

რა თქმა უნდა, სოციალისტური პარტიის ასეთ მოქმედებაში სოციალისტისათვის საკადრისი არაფერია. მაგრამ აქ ერთი დადებითი რამე მაინც აშკარაა: თვითმპყრობელი რუსეთი ყველას გვძულდა, მას ყველა ვებრძოდით. მაგრამ როცა გარეშე მტერი მოდიოდა, ჩვენ ყველას გვეშინოდა ხალხის დარბევა-აწიოკებისა. კიდევ მეტი: ჩვენ გვეშინოდა, რომ თვითმპყრობელობის მოძულე ხალხი არ გამხდარიყო ავანტიურის მსხვერპლი და არ მიეღო მონაწილეობა რუსეთის წინააღმდეგ ომში, რადგანაც ეს იქნებოდა ღალატი არა მარტო თვითმპყრობელი მეფისა, ეს იმავე დროს იქნებოდა ღალატი რუსეთის დიდი დემოკრატიისა... მეორე მხრით—ეს იქნებოდა დაშნაკელების ტაქტიკის განმეორაბა, რაც ქართველ ხალხს იმავე დღეს დააყენებდა, რაც დღე ასეთივე ავანტიურამ დააყენა სომხის ხალხს.

ასეთი იყო ს. ს.-დ. მ. პარტიის ტაქტიკა გუშინ, მაშინ, როცა მთელ რუსეთის ხალხებს გულს უკაწრავდა და სისხლიდან სცლიდა ორთავიანი არწივი.

დღეს რას ვხედავთ?

დღეს იმავე საქართველოს ს.-დ. მ. პარტიის ყოფილი ლიდერები, როცა ხედავენ, რომ ბურჟუაზია თავის ძალებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ აგროვებს, სიხარულს ეძლევიან; ქვეყნის მტრებს „ხალხის მხსნელად“ აღიარებენ, თვით ხალხს თავისი საკუთარი მუშათა და გლეხთა სახელმწიფოების წინააღმდეგ საბრძოლველად იწვევენ.

განა ამაზე მეტი სიგიჟე შეიძლება?

შესდექით! ნუ ვაჭრობთ ხალხის სისხლით!

**ყარიბი.**

# ახალი ავანტიურის სამზადისი.

კაცობრიობის ისტორიამ ბევრი იცის რევოლიუცია, ხოლო დღევანდელი ერთად-ერთია. არც ერთ წინანდელ რევოლიუციას არა ჰქონია ის მიზანი, ის გაქანება, ის უნივერსალური ხასიათი და ისეთი შესაძლებლობანი, როგორიცა აქვს დღევანდელს.

სხვა დროს ბრძოლა სწარმოებდა ძალაუფლების, უპირატესობის, ქონების საკითხთა გარშემო.

დღეს კი რევოლიუციის მიზანია არა რაიმე შესწორება, შეკეთება, შეცვლა და სხვა, არამედ საზოგადოებრივი წყობილების საფუძველთა სრული გამოცვლა, ცხოვრების ძირ-ფესვიანად გადაქმნა.

ეს კი ნიშნავს არა ახალ ხანას კაცობრიობის ისტორიაში, არამედ ახალ კულტურას.

რამდენადაც დიდია დღევანდელი რევოლიუცია, დიდი მიზნების მატარებელი, იმდენათვე მძაფრია ის, დაჭიმული, შეუბრალებელი და ულმობელი, სასტიკი.

ეს ცხადია თავის-თავად: ზარატუსტრას თქმით, ვისაც დიდი სიყვარული აქვს მომავალისა, მას უნდა შეეძლოს დიდი სიძულვილის ზიდვაც.

დღევანდელი რევოლიუცია ატარებს დიად სიყვარულს მომავალი, ახალი კულტურისას და, ცხადია, თავის გზაზე არავითარ დაბრკოლებას ის არ დაინდობს და უნდა გადასთელოს, წალეკოს, გაანადგუროს ყოველივე, რაც მას წინ გადაეღობება.

სხვა დროს რევოლიუცია მოქცეული იყო ეროვნულ ფარგლებში და ამ ფარგლებს გარეშე ის ჰპოებდა ამა თუ იმ გამოძახილს; უმთავრესად კი ეროვნული მოვლენა იყო.

დღევანდელს რევოლიუციაში აღარა სჩანს ეროვნული საზღვრები, ის ინტერნაციონალურია, მასში მთელი კაცობრიობა არის ჩაბმული; დღევანდელი რევოლიუციის ბერკეტმა მთელი მსოფლიო აამოძრავა და გამოიყვანა ბრძოლის ველზე.

და ამ ველზე დღეს ჩვენა ვხედავთ ორ დიდ მოპირდაპირე ბანაკს: ერთ მხარეზე არის ბურჟუაზია, მეორეზე—პროლეტარიატი.

თქვენ აქ ვერ დაინახავთ ერთი რომელიმე ერის ბურჟუაზიას, ან რომელიმე ერის პროლეტარიატს,—აქ არის დარაზმული ყველა ერის ბურჟუაზია და ყველა ერის პროლეტარიატი.

პროლეტარიატის მიზანია ბურჟუაზიის ბატონობის მოსპობა მთელს მსოფლიოში, ბურჟუაზიული წყობილების სრული განადგურება და ახალი პროლეტარული წყობილების, ანუ სოციალიზმის (კომუნიზმის) დამყარება.

ბურჟუაზიის მიზანია პროლეტარიატის განადგურება და საკუთარი ბატონობისა და წყობილების განმტკიცება მთელს მსოფლიოში.

ყველა პირბადე ჩამოგლეჯილია და ორი უდიდესი კლასი ერთი-მეორისადმი შეურიგებელი მტრობით გამსჭვალული სამკვდრო-სასიცოცხლო ჭიდილშია. ბრძოლა გადამწყვეტია: ან ერთი უნდა იყოს, ან მეორე.

ყოველივე ეს კიდევ უფრო ამწვავებს და ამკაცრებს ბრძოლას.

პროლეტარიატს ბევრჯერ აუღია იარაღი ხელში, ბევრჯერ აუფრიალებია რევოლიუციის წითელი დროშა და შეუღებავს მიწა საკუთარის სისხლით, მაგრამ იმდენად თავისი საქმე არ გაუკეთებია, რამდენადაც სხვისი და უმთავრესად კი თავისი მოსისხლე მტრის—ბურჟუაზიისა.

აიღეთ საფრანგეთის ყველა რევოლიუციები: პროლეტარიატი იბრძოდა და სისხლსა ღვრიდა და იმარჯვებდა, მოგებული კი ბურჟუაზია გამოდიოდა. რა იყო ამისა მიზეზი?

პროლეტარიატის შეუგნებლობა.

პროლეტარიატი ჯერ არ იყო საკმაოდ ჩამოყალიბებული, ჩამოსხმული და ერთ კლასად შეკრული; ამის გამო ის მოკლებული იყო კლასობრივ შეგნებასა და გათვითცნობიერებას.

ამით, რა თქმა უნდა, სარგებლობდა ბურჟუაზია და ატყუილებდა მას.

სულ სხვა სურათია დღეს. პროლეტარიატი ყველგან არის კლასობრივად დარაზმული და კლასობრივი შეგნებით აღჭურვილი; მან დიდი ხანია ნიღაბი ააგლიჯა ბურჟუაზიას და კარგად იცის მისი სულსკვეთებაც, საკუთარი მიზანიც და გზაც.

ამიტომ პროლეტარიატის მოტყუილებაზე ვეღარ დაამყარებს ბურჟუაზია თავის იმედებს და ხმალით ჰლამობს პროლეტარიატის თავის მოკვეთას.

ორი ბუმბერაზი—მსოფლიო პროლეტარიატი და მსოფლიო ბურჟუაზია—სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაშია ჩაბმული და ყოველი ერის მუშას, ყოველი ერის გლეხს დღეს მართებს დიდი სიმტკიცე, დიდი სიფხიზლე, დიდი გამჭრიახობა და წინდახედულობა, რომ არ გახდეს მსხვერპლი ბურჟუაზიის აგენტების მოტყუებისა.

განსაკუთრებული სიფხიზლე და გამჭრიახობა მართებს დღეს ჩვენში ყველას და ყველაზე უფრო კიდევ მუშასა და გლეხს. რევოლიუციის გამო, როგორც სხვაგან, ისე ჩვენშიაც, გლეხს ჯერ-ჯერობით ბევრი რამ აკლია. ამავე დროს ჩვენი გლეხი არ არის საკმაოდ გარკვეული პოლიტიკურ კითხვებსა და დღევანდელი რევოლიუციის ხასიათში.

ასეთს პირობებში ადვილად საღდება ყოველგვარი პროვოკაცია, ჭორი, რომლის ერთად-ერთი მიზანია მუშებისა დ გლეხების საქმის დაღუპვა.

ერთ-ერთ ასეთს საშინელ პროვოკაციას უკვე ჰქონდა ჩვენში ადგილი ამ ორი წლის წინად, როდესაც გაქცეული მენშევიკური მთავრობა არ მოერიდა არავითარ ჭორსა და ტყუილებს, რომ ქართველი გლეხი და მუშა ავანტიურაში ჩაეთრია. რა თქმა უნდა, ჩვენი გლეხები და მუშები საერთოდ იმ პროვოკაციის ხაფანგში არ გაბმულან, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მისგან მიყენებული ზიანი მაინც დიდი იყო ჩვენი მშრომელი ხალხისათვის.

ევროპის ბურჟუაზიასა და ყველა შავრაზმელებს დღეს ახალი ამოძრავება დაეტყოთ; რევოლიუციის ზრდამ მათ სიმშვიდე დაუკარგა და ასისინდენ საბჭოთა მთავრობისა და წყობილების წინააღმდეგ.

გაქცეულმა მთავრობამაც ისარგებლა ამ გარემოებით და შეუდგა ხელახალი პროვოკაციისათვის ქსელების გაბმას ჩვენში. უკვე არის საკმაო ნიშნები იმისი, რომ ის უმზადებს ქართველ ხალხს ახალ ავანტიურას.

ვის საქმეს აკეთებს ეს „მთავრობა“ ასეთი ნაბიჯებით?

ამ კითხვაზე ორი პასუხი შეუძლებელია: აკეთებს იმის საქმეს, ვინც მას ფულებს უხვად აძლევს ასეთი სამსახურისათვის. ვინ აძლევს ფულებს?

ევროპის ბურჟუაზია, რომელიც მილიონებს არა ჰზოგავს საქართველოში ახალი აჯანყების მოსაწყობად.

ბურჟუაზიამ წინდაწინვე იცის, რომ ასეთი აჯანყება თავიდანვე განწირულია, მაგრამ ის რასა ჰკარგავს! იკითხონ იმ გულუბრყვილოებმა და უგუნურებმა, რომლებიც ბურჟუაზიის ანკესზე წამოეგებიან.

თუ კი მუშებისა და გლეხების საერთო საქმეს ევროპის ბურჟუაზია როგორმე შეაფერხებს მცირე ხნით, ცოტათი მაინც დააბრკოლებს იმავე მუშებისა და გლეხების სისხლით, რა ენაღვლება!

თუ კი ჩვენში კიდევ მოიპოებიან პოლიტიკურად ისეთი ბეცები, რომლებიც ევროპის ბურჟუაზიის პროვოკაციას აჰყვებიან, ჩაიღუპებიან და სხვებსაც დაღუპავენ, აი დარდი ევროპის ბურჟუაზიისათვის!

ნათქვამია: აქლემები წაიკიდნენ, კოზაკი შუაში გასრისესო. დღეს ისეთი დიადი ისტორიული ბრძოლა სწარმოებს, ამ ბრძოლაში ისეთი ბუმბერაზები არიან ჩაბმული, რომ ჩვენისთანა პატარა ერი სულ ადვილად შეიძლება მთლად ერთიანად გაითელოს. ამიტომ მართებს ჩვენში ყველას დიდი სიფრთხილე და წინდახედულობა მტერსაც, მოყვარესაც.

ორიოდე სიტყვა ჯერ შინაურ მტერზე. რევოლიუცია იმისი რევოლიუცია არის, რომ ყველას გულის მოგებია, ყველას დაკმაყოფილება მას არც შეუძლია, არც უნდა. ზოგი ამაღლდება, ზოგი დამდაბლდება, ზოგი შეიძენს, ზოგიც დაჰკარგავს,—ყოველგვარი ღირებულების გადაფასება და გადაჯგუფება სწარმოებს; ასეთია ბუნება რევოლიუციისა.

ვინც დაჰკარგა, ვინც ყველაფერი იყო და ახლა არაფერია, ცხოვრების მაჩაჩალად გადაიქცა, ის, რა თქმა უნდა, უკმაყოფილოა.

ასეთი ელემენტები ადვილად წამოეგებიან ხოლმე პროვოკაციის ანკესზე ყველგან, ჩვენშიაც.

ასეთმა პირებმა ერთი რამ კარგად უნდა გაითვალისწინონ: ისტორიის მიერ ისინი განაწირულნი არიან და ვერა ვითარი აჯანყებით რევოლიუციის ბორბალს უკუღმა ვერ შეაბრუნებენ და დაკარგულ მდგომარეობას ვერ დაიბრუნებენ, უგუნური ნაბიჯებით სიცოცხლეს კი გადააგებენ, ისინი უნდა შეურიგდენ ისტორიის ნებისყოფას, ქედი მოიხარონ რევოლიუციის წინაშე, გამოეთხოვონ სამუდამოდ ყოველგვარ ავანტიურას და გამონახონ გზა და საშუალება, რომ პატიოსანი შრომით ირჩინონ თავი.

ახლა მივმართოთ მოყვარეს: მუშებსა და გლეხებს.

ჯერ-ჯერობით ბევრი რამ გაკლიათ, მაგრამ ერთი რამ კარგად უნდა გახსოვდეთ: ერთად-ერთი საბჭოთა ხელისუფლებაა მთელს მსოფლიოში, რომელიც იბრძვის თქვენი ცხოვრების ასაყვავებლად, სხვები კი—თქვენი მოსისხლე მტრები არიან.

რამ გამოიწვია უდიდესი რევოლიუცია? თქვენმა ტანჯვამ, თქვენმა აუტანელმა ცხოვრებამ.

რა არის მიზანი საბჭოთა მთავრობის, წყობილებისა და კომუნისტური პარტიის? მუშებისა და გლეხების სრული განთავისუფლება და გაბატონება მთელს მსოფლიოში.

მათ წინააღმდეგ დარაზმულია დღეს მთელი მსოფლიოს ბურჟუაზია, რომელიც ყველგან,—გარდა ჩვენი ფედერაციისა,—მაგრად აზის კისერზე მუშებსა და გლეხებს და მათი ოფლით არის ფუფუნებასა და განცხრომაში..

რისთვის ებრძვის საბჭოთა წესწყობილებას მსოფლიო ბურჟუაზია?

გლეხებისა და მუშების ბედნიერებისა და კეთილდღეობისათვის?

ებრძვის სწორედ იმიტომ, რომ არ უნდა გლეხებისა და მუშების განთავისუფლება და კეთილდღეობა, გლეხებისა და მუშების განთავისუფლება ნიშნავს ბურჟუაზიის დაღუპვას.

აი ამიტომაც მსოფლიო ბურჟუაზია გააფთრებული ეკვეთება საბჭოთა ფედერაციას, რადგანაც აქ ირწევა აკვანი გლეხებისა და მუშების თავისუფლებისა და ბატონობისა.

მუშებმა და გლეხებმა კარგად უნდა გაითვალისწინოთ: ყოველი მტერი საბჭოთა წყობილებისა, არის ამავე დროს თქვენი მტერი. ვისაც საბჭოთა წყობილების დანგრევა უნდა, მას უნდა თქვენი განადგურება.

რა დაგატეხათ აგვისტოს აჯანყებამ თავს?

მხოლოდ ზარალი და უბედურება. უარეს ზარალსა და უბედურებას მოგიტანთ ყოველი აჯანყება, რომელიც საბჭოთა წყობილების წინააღმდეგ იქნება მიმართული.

ამიტომ ყოველი მუშა, ყოველი გლეხი ჩვენში მტკიცედ უნდა იდგეს საბჭოთა წყობილების სადარაჯოზე და ვერავითარმა პროვოკაციამ, ვერავითარმა მოტყუებამ, ვერავითარმა დაპირებამ ვერ უნდა გასტეხოს მისი სიმტკიცე.

ძირს ყოველგვარი ავანტიურა და პროვოკაცია!

**ივ. გომართელი.**

# პასუხად „საჭირო განმარტების“ ავტორებს

„ბრძოლის“ მე-17-ე ნომერში „ოპოზიციის“ წევრები—ვ. ტუღუში, ნ. ბარნოვი და რ. ყიფიანი განმარტებას იძლევიან, თუ როგორ ესმით მათ ოპოზიცია, და შემდეგს ამბობენ:

„ბოლშევიზმი ჩვენ ყველას, განურჩევლად მიმართულებისა, მიგვაჩნია იმპერიალიზმის და რეაქციის განხორციელებად და ეს შეხედულება არის ერთი მთავარი საფუძველთაგანი ჩვენი პარტიის მთლიანობისა. განსხვავება ჩვენს შორის იწყება მხოლოდ იმ გზების შეფასებაში, რომლითაც მუშათა კლასს შეუძლია ამ ბოლშევიკური ტირანიის წინააღმდეგ ნაყოფიერი ბრძოლა და გამარჯვების მოპოვება...

ამ საკითხში მართლაც არსებობს ორი მიმდინარეობა, რაც გამოხატულია ი. წერეთელის და ნ. ჟორდანიას წერილებში ცენტრალურ კომიტეტის მიმართ“...

შემდეგ განაგრძობენ: „დემოკრატიულ პარტიაში კი აზრთა სხვადასხვაობა მაჩვენებელია მისი ზრდის, ცხოველმყოფელობის და მის განვითარებას ემსახურება“-ო.

ჩვენ ამოვწერეთ ამ **განმარტებიდან** უმთავრესი საბუთები, ასე ვსთქვათ, ამ დეკლარაციისა და გვსურს რამოდენიმე წამს შევჩერდეთ მათზე.

პირველ ყოვლისა, ჩვენ შევჩერდებით ამ ავტორებზე. ვინ არის ეს ხალხი, რომლებიც ასეთი რიხით გამოთოხარიკდენ „ბრძოლის“ ფურცლებზე და თავის **უბადრუკს და ძლიერ მჭლე აზრს კომენტარია უყვეს?**

ვინ იცნობს მათ?

რა წარსული აქვთ ყოფილ სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში?

როდის იყვენ ისინი მასების წარმომადგენლები თვით ამ პარტიაშიც კი, რომელთა კარები ძლიერ ღიათ იყო გაღებული და დემოკრატიულ მთავრობის დროს 80.000 კაცს უდრიდა? მათ შორის ერთი მხოლოდ რ. ყიფიანია, რომელიც, მართალია, აწ გარდაცვალებულ საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი იყო, მაგრამ ვინ არ იცის, რომ რუბენი იქ თითის ამწევი დეპუტატი იყო და მეტი არაფერი?! **ვინ არ იცის, რომ რუბენისებური დეპუტატები თითის ხალხი იყვენ და სრულიად მათ არავინ ეკითხებოდა საშინაო და საგარეო პოლიტიკას!**

ეს ჭეშმარიტება რუბენსაც კარგად მოეხსენება და, ვფიქრობ, არ მიწყენს ამ სიმართლის თქმას.

მეორე ხელის ხომწერი გახლავთ ვინმე კ. ბარნოვი, კაცი, რომელსაც **სოციალიზმი და კომუნიზმი ისე ესმის, როგორც ჩვენ არაბული ლიტერატურა.** წვრილი ხელოსანი, განსახიერება მეშჩანური უტილიტარისტული ტიპისა— პარიზში თბილ ადგილზე მოწყობილი (მას გაუხსნა ს.-დემოკრატიულმა ბიურომ ფეხსაცმელების სახელოსნო და აგრეთვე ზაფხულობით მას უკვე უთავაზეს ლევილის აგარაკზე მუქთა პანსიონი, შვილებს კი ზრდის ჩხენკელის ლეგაციის დახმარებით ფრანგულ სასწავლებელში სახელმწიფო ხარჯზე).

აი ეს წვრილი ვაჭარი ერთ-ერთ ჩვენს ამხანაგ მუშას, დაბრუნებულს ჩვენთან ერთად ემიგრაციიდან, გამოთხოვების დროს ეუბნებოდა: „**თქვენთან არის ჩემი სული და გული, მხოლოდ** მე ჯერ საქართველოში ვერ დავბრუნდები,—დიდი დავალებული ვარ მთავრობისაგან,—ბავშვები მათი წყალობით მუქთად სწავლობენ. მე კიდევ ასეთი დახვარება მაქვს; როცა შვილები ისწავლიან, შემდეგ მეც თქვენსკენ ვიბრუნებ პირს“-ო...

როგორც **ყიფიანი,** ისე **ბარნოვი,** დემოკრატიულ მთავრობის ევაკუაციის დროს უფასო დამატებად აეკიდენ ზურგში და იქ, ემიგრაციაში, ეხლა ცარიელი ადგილის შევსება მოსურვებიათ და ნ. რამიშვილის შეთხელებული რაზმის წევრები გამხდარან.

**მესამე** გახლავთ ვ. ტუღუში. ეს ის ტუღუშია, რომელიც მართლა 60 კაცის რიცხვში იქნა გადასახლებული საქართველოს საბჭოთა მთავრობის მიერ და სწორედ ამ გადასახლებამ მისცა მას მხოლოდ და მხოლოდ **ემიგრანტის** სახელი, ის აქ, საქართველოში, ძალზე ახალი და პასიური წევრი ს.-დ. პარტიისა, ემიგრაციაშიც ასეთივე დარჩა და, რადგან ნ. რამიშვილმა გამზადებულ საგაზეთო წერილიზე ხელის მოწერა უბრძანა, აბა ამაზე ხომ თავის ალას ეს პაწია კაცი უარს ვერ ეტყოდა?! და მართლაც საცოდავია ის პარტია და, მით უმეტეს, „ოპოზიცია“, რომელთაც ასეთი „ჩინებული“ წარმომადგენლები ჰყავთ. ვინაიდან ამ წარმომადგენლების პოლიტიკურ-პარტიული და ინტელექტუალური წონა ძლიერ მჩატეა, ერთი პაწია კურდღლის საგძალ-ბარგია.

ემიგრაციაში, რასაკვირველია, კიდევ დარჩა რამოდენიმე კაცი, რომელთაც საქართველოს მუშური მასები იცნობენ, როგორც „ოპოზიციის“ წევრებს: გ. ერაძე, ნ. ჰუმბურიძე, ე. არჯევანიძე, ისიდორე ქარსელაძე, მაგრამ ესენი ნ. რამიშვილის „ბრძოლა“-ში ალბათ ვერ გრძნობენ თავს **თავისიანებში** და ამიტომაც ხმაჩაკმედილი არიან...

**მაგრამ, დავანებოთ თავი ამ პირების დახასიათებას და** ვილაპარაკოთ ისეთ საკითხებზე, რომელიც ჭეშმარიტად ღირსია სჯა-ბაასისა. დავსვათ საკითხი პარიზის „ოპოზიციაზე“. მართლა ეს ოპოზიციაა, თუ ოპოზიციის კარიკატურაა?! დიახ, ეს გახლავთ კარიკატურა, ჯგუფი ადამიანებისა, რომელთაც არავითარი პრინციპი არ გააჩნიათ, რომლებიც ოპოზიციონერობენ და საკმარისია მათ **ნოე ნიკოლოზის ძემ გაუცინოს,** თავის ყურადღების ღირსად გახადოს და ისინიც ყველაფერს იკისრებენ.

ამას ამტკიცებს სავსებით ის ფაქტი, რასაც ადგილი ჰქონდა პარიზში 1925 წ. 3 მაისს.

ერთი წლის განმავლობაში ი. წერეთელის მეთაურობით „ოპოზიციამ“ „იბრძოლა“, საქმე თითქმის „რასკოლამდის“ მივიდა და ბოლოს ი. წერეთელი სავსებით იღებს იმ რეზოლიუციას, რაც ნ. ჟორდანიამ წარმოადგინა. რა არის ამ რეზოლიუციის დედააზრი? „**ხდება ევროპის სტაბილიზაცია, საბჭოთა კავშირს აუცილებლად მოუხდება საგარეო გართულება** და ჩვენ ამ მომენტით ვისარგებლებთ და იარაღით ხელში დავამხობთ საბჭოთა წყობილებას“-ო.. ე. ი. ჩვენ პირწმინდათ განვიმეორებთ იმ სისხლიან ავანტიურას, რომელიც პარიზმა მეხივით თავზე დაატეხა ქართველ ერს 1924 წლის აგვისტოში.

აი ეს ავანტიურა მაშინ ნ. რამიშვილმა მოაწყო. ირ. წერეთელმა, ა. ჩხენკელმა და სხვებმა ხელის ბანა დაიწყეს: „ჩვენ არაფერი ვიცოდით, ეს ყველაფერი ჩვენს გარეშე მოხდა“-ო...

ერთი წლის განმავლობაში თითქოს წერეთელი „ებრძვის“ ოპოზიციას, მაგრამ საბოლოო ანგარიშით ეს კომედიის თამაშობა გამოდგა, ვინაიდან წერეთელმა პირველმა მოაწერა ხელი იმ რეზოლიუციას, რომლის შინაარსზე მე ზემოთ შევჩერდი. და მართლაც, რა ფასი აქვს ამ უკაცრავად პასუხია, „ოპოზიციას“ ამის შემდეგ?

ეს უპრინციპო, უხერხემალო და უილაჯო ოპოზიცია ერთი წლის ყბედობის შემდეგ თავს გაკოტრებულად აცხადებს და დაჩოქილი ნ. რამიშვილს ეამბორება რათა მან მიუტევოს მათ თავიანთი შეცდომანი...

ამნაირად შერიგდა ოპოზიცია და პოზიცია და ამას ის მოჰყვა შედეგად, რომ ერთი ნაწილი მუშათა ემიგრაციისა,—უფრო გარკვეული და გულწრფელი, მოშორდა მენშევიკურ ემიგრაციას და თავის ამხანაგებს დაუბრუნდა საქართველოში. და ამის შემდეგ რომელ ოპოზიციაზე ლაპარაკობს რ. ყიფიანი და მისი მიმყოლნი?!

რაში არ ეთანხმებიან ისინი რამიშვილს? **რამიშვილის „ხტავკა“ გახლავთ** საერთო საგარეო გართულებით სარგებლობა, ინტერვენციით **ჩამოგდება** საქართველოში საბჭოთა ხელისუფლებისა. ე. ი. ის და მისი „ცეკა“ უმზადებს ქართველ ხალხს სისხლში **ჩახრჩობას,** მას უნდა უცხო ძალით აათორიაქოს, დასწვას, გაანადგუროს ჩვენი ქალაქსოფლები; **ზარბაზნების** ლუკმათ აქციოს ჩვენი ერის ძველი და ახალი თაობა, ის და მისი ცეკა ქართველ ხალხის სიცოცხლეს ქარტაზე სვამს. ჩვენ უტყუარი ცნობა გვაქვს იმის შესახებ, **რომ** იმ კამპანიას, რომელსაც აწარმოებს ინგლისის კონსერვატიული **მთავრობა.** და რაც გამოიხატება იმაში, რომ ის აკავშირებს და აწყობს საბჭოთა კავშირების საზღვრებზე ანტისაბჭოთა კოალიციას პოლონეთის და სხვა პატარა სახელმწიფოების საშუალებით.

აი ამ სამხედრო ავანტიურის სამზადისს ქართული ემიგრაცია ნ. რამიშვილის მეთაურობით შეჰხარის და შენატრის და, რაც უმთავრესია, „საქმიან“ მოლაპარაკებაში შედის მათთან.

ის ქართველი ხალხის სისხლით ევაჭრება მათ. **სად** არის ამ დროს თქვენი ოპოზიცია ბ-ნო **ყიფიანებო?**

სად არის თქვენი ლიდერი ი. წერეთელი, რომელმაც ყოველივე ეს იცის და თავჩაქინდრული განაგრძობს „მუშაობას“ მე-2-ე ინტერნაციონალის ეკზეკუტივში?

რას ეუბნება ის ევროპიელ მენშევიკებს?! დიახ, მენშევიკური ემიგრაცია და მისი ამყოლი ჯგუფი მორიგ პროვოკაციას უმზადებენ ქართველ ერს; ისინი (მენშევიკები) დაშნაკური მეთოდით „იბრძვიან“, იმათ გააკეთეს ორიენტაცია ევროპის რეაქციაზე და ლამობენ სისხლში ჩაახრჩონ საქართველოს მშრომელი მასები.

**ჩვენ კი ვეტყვით მათ: შესდექით, ბატონებო!**

**მოასვენეთ ქართველი ხალხი!**

**ალ. ხელაძე.**

# ერთა სოლიდარობისთვის.

ინტერნაციონალური სოლიდარობის პრინციპი სახელმწიფოებრივი ხაზით უპირველეს ყოვლისა აშკარავდება ეროვნულ უმცირესობათა მიმართ სახელმწიფოს დამოკიდებულებაში ერთის მხრით და მეზობელ ერებთან ურთიერთობაში მეორეს მხრით.

იმისგან, თუ როგორ მოეპყრობა ის თავის ეროვნულ უმცირესობათ და როგორი იქნება მისი ურთიერთობა მეზობლებთან, ბევრად არის დამოკიდებული ჩვენი ქვეყნის მომავალი. და აი იქ სიამაყით უნდა აღვნიშნოთ, რომ არც ერთს ეროვნულ უმცირესობას, რომელიც საქართველოში მოსახლეობს, არ შეუძლია სთქვას, რომ მას საბჭოთა საქართველო სჩაგრავს, არც ერთს ჩვენს მეზობელს არ შეუძლია სთქვას, რომ მას საბჭოთა საქართველო არა ამხანაგურად ეპყრობა და რამეში ავიწროებს.

საბჭოთა ხელისუფლებამ საქართველოში მოსახლე ეროვნულ უმცირესობათ მიანიჭა ისეთი უფლებები, რომელთა მსგავსი მათ არც ერთ რეჟიმში არა ქონიათ. ამას ადასტურებს სხვა ღონისძიებათა გარდა თვით ფაქტი აფხაზეთის, აჭარის და სამხრეთ-ოსეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების არსებობისა.

დღეს ეროვნულ უმცირესობათ ჩვენში აქვთ სახელმწიფოებრივ კულტურული აყვავება განვითარების სრული საშუალება. ეს არის უდიდესი ფაქტი, რომელსაც ვერავინ უარყოფს და რომლის მნიშვნელობა განუზომელია.

თვითმპყრობელურ რეჟიმს ჰქონდა მზაკრული განზრახვა. თავის იმპერიალისტურ მიზნებისათვის ის იყენებდა ამ ეროვნულ უმცირესობათ, მათ უპირდაპირებდა ქართველობას, ამულებდა მათ ქართულს ენას და კულტურას და სხვ.

ამ მხრით ყველას ახსოვს ვოსტორგოვის მოღვაწეობა საქართველოში,—აშორდიას სამეგრელოში, გოლუბცოვ-ხორავების აფხაზეთში და სხვ.

დღეს მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა. საქართველოში მოსახლე ეროვნულ უმცირესობათა ცხოვრებაში დაიწყო ახალი ხანა. ზღაპრული „შვიდი მნათობი" ახალი სახით ჩვენ თვალწინ ხორცს ისხამს, სინამდვილედ იქცევა.

საქართველოში მოსახლე ეროვნულ უმცირესობათა შორის ყველაზე მნიშვნელოვანი არის სომხობა. ის საუკუნოებით სცხოვრობს საქართველოში, ეწევა ენერგიულ საქმიანობას და ადრევე იწყებს ენის, ზნე ჩვეულებათა და კულტურის შეთვისებას.

საქართველოში მისთვის ისეთივე სამშობლოა, როგორც ჩვენთვის—მკვიდრ ქართველთათვის. ჩვენ ერთი მეორეს შევეზარდეთ. ისტორიამ ჩვენს წინაშე დააყენა დილემა: ან ერთად ძმურად და ხელი-ხელ ჩაკიდებული თანამშრომლობა, წინ სვლა, ან ერთი მეორის სამარცხვინო წეხრჩობა-განადგურება.

ორივე ერის შოვინისტურმა წრეებმა უკვე სცადეს წარსულში მეორე გზით სიარული. ამ მხრით მათ დაგვიტოვეს საშინელი მემკვიდრეობა—შოვინისტური შხამით მოწამლული ატმოსფერა, მტრობა და უნდობლობა. ამ საშინელების აღმოფხვრა შესაძლებელია მხოლოდ ჭეშმარიტი ინტერნაციონალიზმით, მხოლოდ ერთი მეორის ამხანაგური გაგებით და უაღრესი სიყვარულითა და პატივის ცემით.

**იანცს არ უნდა სჭირდებოდეს შვილად გადაკეთება, ორივე ტოლად იყოს პირმშო შვილი და არავინ გრძნობდეს თავის თავს გერად—აი ამოცანა.**

ამ მხრით ბევრი რამ არის ჩვენზე დამოკიდებული. ჩვენში ჯერ კიდევ საკმაოდ ზის ძველი კუდა ბზიკა აზნაური, რომლის „რაინდულ" თავმოყვარეობას ეჩოთირებოდა „ვაჭრუკანებთან" დაახლოვება-მეგობრობა.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ სომხებთან ერთ რესპუბლიკაში ვცხოვრობთ, ერთ ქალაქში ვბინადრობთ და ხშირად ერთ დაწესებულებაში ვმუშაობთ, ვერ მოგვიხერხებია ერთი მეორესთან ის ჭეშმარიტი ამხანაგური კონტაქტი, რომელიც ასე საჭიროა დიადი სოციალისტური აღმშენებლობისათვის.

ქართველებში ძლიერ ცოტაა ისეთი ოჯახი, რომ სომხურ ოჯახებთან კავშირი ქონდეს, მათში დადიოდეს, ქართველ ინტელიგენტებში (არა კომუნისტურში) ძლიერ ცოტაა ისეთები, რომ სომხებში მეგობრები და ამხანაგები ყავდეთ. ერთ რესპუბლიკაში მცხოვრებნი ჩვენ თითქოს სხვადასხვა სახელმწიფოებს წარმოვადგენდეთ, სხვადასხვა კუნძულებზე ვცხოვრობდეთ.ამიტომ ჩვენი მორიგი ლოზუნგი უნდა იყოს: სომხებთან გულწრფელი დაახლოება, რომ სამუდამოდ აღმოფხვრად შოვინიზმისა, განცალკევების და ეროვნული შეზღუდულობის ყოველგვარი ნაშთი.

ჩვენში ძლიერ ცოტაა ინტელიგენტი, რომ სომხურ ჟურნალ-გაზეთებს კითხულობდეს და მათში თანამშრომლობდეს. ჩვენ თითქმის სრულიბით არ ვიცით სომხური ენა და ეს მაშინ, როცა სომხებმა მეტ წილად იციან ქართული, ხოლო ვინც არ იცის ცდილობს იგი შეისწავლოს.

როგორ შეიძლება ერი გიყვარდეს და მისი გესმოდეს, თუ არ იცნობ მის ლიტერატურას, არ გესმის მისი ენა?!

ჩვენ უნდა ვისწავლოთ **სომხური ენა,** რომ გვექნეს საშუალება გავიცნოთ სომეხთა ლიტერატურა, გავიგოთ ჩვენი მოძმეთა სულის კვეთება და მისწრაფებანი. ერთი სიტყვით, საჭიროა **დაახლოება და დაახლოება.** იგი ფრიად სასარგებლო იქნება ჩვენთვის. ენერგიული, ანგარიშიანი და რეალობის ალღოს მქონე ჩვენი მეზობელი, უდავოა, ჩვენ ბევრ რამეს გვასწავლის.

**ლეო შენგელია.**

# ზოგი რამ ჩემი შთაბეჭდილებებიდან.

მეოთხე თვეა, რაც საბჭოთა საქართველოში ვარ.

ბევრი რამ მქონდა მისი მეურნეობის შესახებ წაკითხული და გაგონილი სხვადასხვა, ერთი-მეორის საწინააღმდეგო წყაროებიდან. იყო ასეთი ცნობები: რაც კეთდება, მხოლოდ რეკლამისთვის კეთდებაო, ხოლო იწერება იმაზე მეტი, ვიდრე კეთდებაო.

მეორე მხრით, იყო ისეთი რელიაციებიც, რომელნიც თითქმის ყველა ამოცანებს უკვე მიღწეულად წარმოგვიდგენდენ.

მე ორივე ამ წყაროს და მათ გაშუქებას სკეპტიკურად ვუყურებდი. საბჭოთა პრესაში ვკითხულობდი უმთავრესად იმ განყოფილებებს, რომელიც საზოგადოთ წვრილ ასოებით იბეჭდება მესამე და მეოთხე გვერდზე—ქრონიკის, წვრილი ამბების, განცხადებების სახით. აქ მეშლებოდა სინამდვილის სურათი,—თუ სრული არა, ყოველ შემთხვევაში, საკმაოდ მართალი, და ყოველთვის ვამბობდი, რომ ეს წლები ჩვენი ერის ცხოვრებაში არა თუ უნაყოფოდ დაკარგული არ არის, პირიქით, ჩვენი ეროვნული მეურნეობა წინ მიდის, ვითარდება და ბევრი რამ ისეთი სასარგებლო კეთდება, რომელიც წაუშლელ კვალს დასტოვებს ჩვენი ხალხის ცხოვრებაში-თქო.

აი, ეს შთაბეჭდილება გამართლდა სავსებით. ამას აქ არც უარყოფს ვინმე, ყოველ შემთხვევაში, მე ასეთი არავინ შემხვედრია.

ასეთი საქმიანობა კი წარმოადგენს მატერიალური კულტურის გაძლიერებას, რაც შეადგენს ყოველგვარი ეროვნული მიღწევების საფუძველს.

მართალია, ჯერ ტფილისის რაიონს არ გავცილებივარ, მაგრამ აქედანაც ბევრი რამ სჩანს და სრულის პასუხისმგებლობით შემიძლია ვთქვა, რომ უკვე არის უეჭველი მიღწევები. და სრულიად სამართლიანია ის დებულებაც, რომელიც ამბობს: საერთოდ ჩვენი მეურნეობის ალ-

დგენა დასრულებულია და უკვე შევედით მისი განვითარების და გაფართოების ხანაში.

ამასთანავე უნდა ითქვას გულახდილად, რომ ეს გაფართოება და წინსვლა მთელ სამეურნეო ფრონტზე ერთი ტემპით არ ხდება და არც შეიძლება მომხდარიყო. მაგრამ ეს სრულიადაც არ ამცირებს იმის ღირებულებას, რაც კეთდება.

ვინ არ იცის, რომ ისეთი დიდი ქარტეხილის შემდეგ, როგორიც დატრიალდა მთელი კავშირის ტერიტორიაზე, იმ ნგრევისა და განადგურების შემდეგ, რომელიც მოჰყვა მსოფლიო ომს და შემდეგ სამოქალაქოს, ეს საქმე არც ისე ადვილი იყო, როგორც ზოგიერთს ეგონება. მით უმეტეს, რთული და ძნელი უნდა ყოფილიყო ეს მაშინ, როცა თვით მეურნეობის პრინციპები ძირითადათ შეიცვალა—ძველი, კერძო საკუთრებაზე აგებული ბურჟუაზიული წარმოების ადგილი დაიკავა საზოგადოებრივმა, სახელმწიფო, გეგმიანმა წარმოებამ. ეს კი თავის-თავად ისეთ განსხვავებას ჰქმნის მუშაობაში, რომ მისი ერთბაშად დაძლევა შეუძლებელია. ამიტომ, კიდევ მეტია იმის ღირებულება, რაც გაკეთებულა და კეთდება.

მე არ მინდა ამ წერილში დაწვრილებით ვილაპარაკო რომელიმე დარგზე. იმედი მაქვს, ამის საშუალება მომეცემა ახლო მომავალში.

აქ შევჩერდები მხოლოდ გაკვრით ზოგიერთ რამეზე.

დავიწყებ ქალაქიდან. მართალია, ქალაქი არ ბრჭყვინავს და ზოგიერთებივით ვერ ვიტყვი: ტფილისს ვერ იცნობ, ისე გამშვენებულაო, მაგრამ მზრუნველი ხელი ეტყობა, გაკეთებული ბევრია და ბევრი ძალიან მნიშვნელოვანიც. მარტო ის რად ღირს, რომ წყალსადენი და ტრამვაი ნორმალურად მოქმედებენ და შეუწყვეტლივ აკმაყოფილებენ მცხოვრებთა მოთხოვნილებას.

რამოდენიმე ათეულ წლების საოცნებო საქმე, ძველი სომხის ბაზრის ქუჩის გაფართოება უკვე ფაქტად არის ქცეული, და ეს მთავარი არტერია ჩვენი დედაქალაქისა ვიწრო შუკის ნაცვლად კარგ განიერ ქუჩად არის გადაქცეული, სადაც დღეს თუ ხვალ ტრამვაის ხაზიც გაივლის. წინეთ კი აქ ორი ურემიც ვერ შეუვლიდა გვერდს ერთმანეთს. ასეთი მნიშვნელობა აქვს ფუნიკულიორზე მისასვლელ გზის გაჭრას, ვერის განტვირთვას საბარგო მიმოსვლისაგან—ახალი გზის გაყვანით; არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს ქალაქის ცხოვრებისათვის იმ პატარა სკვერებსაც, რომელნიც აღმოცენებულან ხუხულა და უსუფთაო შენობების, ან ცარიელ და ხევ-გორაკებიან ადგილების ნაცვლად. ეს ხომ ქალაქის ფილტვების გაჯანსაღებაა. ვიცი, რომ ზოგიერთებისათვის ეს ნამოღვაწევი დღესაც სადავო ღირსებისაა; ვიცი მეტყვიან: ამაზე ადვილი რა არის—კერძო მესაკუთრეებს მამულები ჩამოართვეს, შენობები დაუქციეს და ქუჩები და სკვერები გამართესო. მაგრამ, თუ ჩაუკვირდებით, დაინახავთ, რომ აქ მარტო „წართმევით“ არ თავდება საქმე. მთავარია აქ შემდეგი გამოყენება ქონებისა, გაშენება, გაკეთება. ეს კი დადებითი ხასიათის მუშაობაა. მართალია ისიც, რომ ამ პროცესში რამდენიმე კერძო მესაკუთრე დაზარალდებოდა. მაგრამ ამ დიდი ცვლილებების ხანაში ეს წვრილმანია და, პოეტის თქმისა არ იყოს,—„ღმერთმან ერთი რად აცხონოს, თუ მეორე არ წაწყმიდოსო“. ხოლო თუ ვისიმე „წაწყმედა“ იყო აუცილებელი, რა თქმა უნდა ისა სჯობს, რომ კერძო „წაწყდეს“, ივანე და პეტრე დაზარალდეს და საზოგადო გაკეთდეს, ქალაქი გაიმართოს წელში. ამიტომ, ჩემი სოციალისტური სინიდისი სრულიად ადვილად ურიგდება იმას, რომ სომხის ბაზრის გაჭრით რამდენიმე სახლის პატრონი დაზარალდა.

უდიდესი მნიშვნელობის აქტად მიმაჩნია მე ქალაქის ფარგლებში მოქცეულ მიწებზე კერძო საკუთრების გაუქმება და სავაჭრო-სამრეწველო შენობების ან შენობათა ნაწილების ქალაქის ხელში გადაცემა, რაც მტკიცე ბაზას აძლევს ქალაქის მეურნეობას. თვით ბურჟუაზიული ეკონომისტების თვალსაზრისითაც ძნელი ასაწონი იყო, თუ ვის მეტი წილი უდევს ამ ქონებათა ღირებულების შექმნაში—იმას, ვინც ფაქტიურად ააშენა შენობა, თუ ქალაქს, რომელმაც თავისი ეკონომიური და კულტურული მნიშვნელობით, კეთილმოწყობით, მიმოსვლის გაადვილებით და სხვა ასეთები მომგებიანათ გახადა ეს შენობა.

მართალია, ამას მოჰყვებოდა კერძო მესაკუთრეების დაზარალება, მაგრამ არსებითად ეს ისეთივე სამართლიანი სოციალური „რეფორმაა“, როგორც მაზრის მიწების ნაციონალიზაცია და თუნდ ნაწილობრივ მიწების ჩამორთმევა იყო. ორივე ერთი კატეგორიის რევოლიუციონური გარდატეხაა, მხოლოდ ერთი უფრო გაბედული, მეორე კი—(ჩამორთმევა) მოკრძალებული.

ასეა თუ ისე, ფაქტი მომხდარია და იგი ძალიან ნაკლებათ უნდა ქენჯნიდეს სოციალისტურ სინიდისს. კომუნალური მეურნეობის ბაზა შექმნილია და ამის შემდეგ საჭიროა ზრუნვა ამ ქონების მოვლაზე, მის საზრიანად გამოყენებაზე.

გადავიდეთ ახლა რესპუბლიკის ფარგლებში და ვილაპარაკოთ მხოლოდ იმაზე, რაც აქედან სჩანს.

უეჭველია, საზოგადო სახალხო მეურნეობაში და კერძოთ მრეწველობის დარგში უკვე დიდი მიღწევებს აქვს ადგილი. არა თუ ამოძრავებულა მთელი ძველი ტეხნიკური ძალები, მათი ძველი მოწყობილობა-იარაღებით, არამედ ჩაყრილი აქვს საფუძველი მთელს რიგს ახალი დარგებისას, რაც შესაძლებლობას აძლევს სახელმწიფო მეურნეობას თვით გადაამუშავოს თავისი ნედლი მასალა და მით გააღონიეროს მოსახლეობა. ასეთი ხაზია აღებული ტყის მრეწველობაში, სამიოქიმის დარგში, სასოფლო მეურნეობის ნაწარმოებთა შესახებ (აბრეშუმი, მატყლი) და სხვა.

მიღებულია საკმაოთ ენერგიული ზომები ჩვენი ქვეყნის საუკეთესო სიმდიდრის, წყლის ენერგიის გამოსაყენებლად.

შემუშავებულია გეგმა და დაწყებულია მუშაობა მიწის გულში მოქცეულ სიმდიდრეთა აღმოსაჩენად და გამოსაყენებლად.

ამ გეგმების განხორციელების შედეგია ზემო-ავჭალის ელექტროსადგურის აგება, გურიის ნავთის საბოლოო გამოკვლევის დაწყება, რასაც უნდა მოჰყვეს ჩვენს მეურნეობაში მთელი ახალი დარგის შექმნა.

ყოველივე ეს თავდებია იმისა, რომ ჩვენი ეკონომიურად ჩამორჩენილი ქვეყანა ძალას იკრებს, საკუთარ ფეხზე დგება და მალე გაიმართება წელში.

ასეთია ჩემი შთაბეჭდილება. ხაზი სწორად არის აღებული. ხდება სოციალისტური მეურნეობის აღორძინება. და ჩვენ გვმართებს ხელი შევუწყოთ იმათ, ვინც ამ დიდს საქმეს აკეთებენ. მე არ ვიტყვი, რომ ყველაფერი უნაკლულოდ კეთდება, მაგრამ ამ ნაკლითაც მხოლოდ მეგობრული კრიტიკის თვალსაზრისით უნდა მივუდგეთ, თუ გვინდა მივუახლოვდეთ იმ იდეალის განხორციელებას, რომელიც ათეულ წლების განმავლობაში ასულდგმულებდა მოწინავე მუშებს და სოციალისტურ ინტელიგენციას.

**ნ. ელიავა.**.

# რისთვის ვიბრძვით?

ქართველ მენშევიზმს, ჩვენ სამკვდრო სასიცოცხლო ბრძოლა გაუმართეთ; მის წინააღმდეგ ჩვენ ერთსულოვნათ დავირაზმეთ და ბრძოლის ამ გაშლილ ფრონტიდგან უკან დახევას არ ვაპირებთ.

ჩვენი გზა ისტორიის ახალ ეპოქის სინათლით არის გაშუქებული და მარშრუტიც ამ გზის გაგრძელებისაკენ ავიღეთ. ამ ახალ გზისაკენ ვიბრუნეთ პირი და ვებრძვით იმას, რაც უკან მოვიტიეთ.

რაშია საქმე, რისთვის ვიბრძვით, რას ვებრძვით?

თანამედროვე ისტორია ორ ეპოქათ გაიყო.

ისტორიულ განვითარების თანამედროვეობაში მიღწეული საფეხური არ შეიძლება მთლიანად რომელიმე ეპოქას მიეკუთვნოს. დღევანდელი ეპოქა გაორებულია და ისტორიამ სრულიად ახალ ეპოქაში გარდამავალ საფეხურს მიაღწია; ერთის მხრით კაპიტალისტური სამყარო, მსოფლიო კაპიტალისტური მეურნეობა ძველ ისტორიას აგრძელებს

და მეორეს მხრით საბჭოთა კავშირის სოციალისტური სახალხო მეურნეობა ძველ ისტორიულ გზის დაძლევით, ახალი, ისტორიაში არ ნახული გზით მიემართება, ერთმანეთს დაუპირისპირდა მეურნეობის ორი სისტემა და ამ ორ სისტემის ნიადაგზედ წარმოშობილი, დიამეტრიალურად მოპირდაპირე საზოგადოებრივი ურთიერთობა.

რა ახასიათებს კაპიტალისტურ მეურნეობას?

მისი დამახასიათებელი თვისება არის წინააღმდეგება შრომისა და კაპიტალს შორის. ეს წინააღმდეგობა ხასიათდება მით, რომ კაპიტალისტთა ერთი მუჭა ისაკუთრებს კაპიტალისტურ წარმოებაში საზოგადოებრივად მოწყობილ შრომის მიერ შექმნილ უამრავ სიმდიდრეს და ისაკუთრებს იმიტომ, რომ მის ხელში არის კერძო საკუთრებათ დაგროვილი საწარმოო ძალები. საზოგადოების უმრავლესობა, მუშათა კლასი, მიტომ ვერ ისაკუთრებს და ვერ ინაწილებს თავის შრომის ნაყოფს, რომ მის ხელში არ არის საზოგადოებრივ საკუთრებათ ქცეული საწარმოო ძალები. წარმოების ეს კაპიტალისტური წესი განსაზღვრავს ყველა იმ საზოგადოებრივ უკულმართობას, რომელიც იწვევს რევოლიუციონურ პროლეტარიატის თავგანწირულ ბრძოლას სახელმწიფოებრივად გაბატონებულ ბურჟუაზიის წინააღმდეგ. ამ უკულმართობის საფუძველია წარმოების გაბატონებული წესი და წარმოების ამ გაბატონებულ წესის ერთგვაროვნობის ნიადაგზედ ყალიბდება საერთაშორისო კაპიტალისტური მეურნეობა, როგორც ისტორიული ფაქტი.

ყოველმა სალათ მოაზროვნე მარქსისტმა ასე უნდა დააყენოს საკითხი.

თუ ამ დებულებიდგან გამოვალთ, დავინახავთ, რომ კაპიტალისტურ სახელმწიფოთა მთლიანი პოლიტიკური ფრონტი, რომელიც საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ არის მიმართული, სუბიექტიური გამოხატულება არის იმ ობიექტიური მდგომარეობის, რომლის ნიადაგზედ ყალიბდება საერთაშორისო კაპიტალისტური მეურნეობა, ე. ი. გამოხატულება არის იმ კაპიტალისტურ-კლასიურ მთლიანობის, რომელიც კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის წარმოების გაბატონებულ კაპიტალისტურ წესის ერთგვაროვნობის ნიადაგზედ ყალიბდება. ეს არის ორგანიზაციულად მოწყობილი კაპიტალის ისტორიული უზრუნველყოფის ზოგადი ლტოლვილების ცდა. კაპიტალიზმი სიცოცხლეს კიდევ აპირებს, თავის ისტორიის გაგრძელებას ლამობს და სასტიკად ებრძვის ყველაფერ იმას, რაც მის არსებობას ემუქრება, ასეთია ძველი ისტორია, რომელიც ჯერ კიდევ ისტორია არის.

რა ახასიათებს საბჭოთა სოციალისტურ სახალხო მეურნეობას?

მისი დამახასიათებელი თვისება არის წინააღმდეგობის მოსპობა შრომისა და კაპიტალს შორის. საწარმოო ძალთა ნაციონალიზაციის პირობებში საზოგადოებრივად მოწყობილ შრომის ნაყოფს ისაკუთრებს სახელმწიფო როგორც მუშათა კლასის და მშრომელ გლეხკაცობის ნებასურვილების გამომხატველი ორგანიზაცია. მშრომელი მასა აქ თვით ისაკუთრებს თავის შრომის ნაყოფს, [illegible] სახელმწიფოებრივად გაბატონებული ძალა და ის იმიტომ, რომ მის ხელში არის თავმოყრილი საზოგადოებრივ საკუთრებად ქცეული საწარმოო ძალები. ამ პირობებში მოსპობილი არის წინააღმდეგობა შრომისა და კაპიტალს შორის. აქ კაპიტალი დამორჩილებულია სახელმწიფოებრივად გაბატონებულ შრომისადმი. აქ გაბატონებული არის წარმოების სოციალისტური წესი და თავის ინტერესებს თვით შრომა სდარაჯობს. საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობა წარმოების ამ სოციალისტურ წესის ნიადაგზედ ეწყობა და სამოქმედო პროგრამად დასახული ინდუსტრიალიზაცია ამ მიზნის რეალიზაციის წარმოადგენს.

როგორც ვხედავთ, ჩვენში სულ სხვა ტიპის მეურნეობა იკაფავს გზას და კაპიტალისტურ მეურნეობისაგან განსხვავებული საწარმოო ურთიერთობა ბატონობს. ეს ახალი საწარმოო ურთიერთობა ზრდა-განვითარების გზაზედ არის შემდგარი და არსებითად შეუცვალა სახე საზოგადოებრივ ცხოვრების შინა წყობას. მას არაფერი საერთო არ აქვს კაპიტალისტურ ტიპის მეურნეობასთან. პირიქით, ის მისი მოპირდაპირე არის. ამნაირად საბჭოთა კავშირის სოციალისტური სახალხო მეურნეობის თავისებურება წარმოების აქ გაბატონებულ წესით ხასიათდება. წარმოების ეს სოციალისტური წესი არსებითად განსხვავდება წარმოების კაპიტალისტურ წესისაგან და არავითარ შემთხვევაში არ წარმოადგენს მის მონათესავე სახეობას. ორივე სხვა და სხვაგვარი ისტორიული ფაქტი არის. ამიტომ არის, რომ საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობა არ შეიძლება საერთაშორისო კაპიტალისტურ მეურნეობის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდეს. ის არა თუ მის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს, არამედ არსებითად უპირისპირდება მას, როგორც სრულიად ახლად მოვლენილი ისტორიული ფაქტი.

სწორედ ამიტომ დარჩა შესაძლებელი, რომ კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის, წარმოების გაბატონებულ კაპიტალისტურ წესის ერთგვაროვნობის ნიადაგზედ ჩამოყალიბდა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართულ მთლიანი პოლიტიკური ფრონტი. კაპიტალიზმი სიცოცხლეს აპირებს, ის თავის ისტორიის გაგრძელებას ლამობს და ამიტომ ებრძვის საბჭოთა კავშირს, როგორც ახალი ისტორიული ეპოქის აკვანს.

თანამედროვე ისტორიულ პერიოდში ერთმანეთს ორი ეპოქა დაეჯახა: კაპიტალისტური და სოციალისტური. ერთ მხარეზედ სდგას საერთაშორისო კაპიტალისტური მეურნეობა და ამ საერთაშორისო სარბიელზედ პოლიტიკურ ძალათ გაბატონებული ბურჟუაზია, მხოლოდ მეორე მხარეზედ სდგას საბჭოთა კავშირის სოციალისტური სახალხო მეურნეობა და ამ სოციალისტურ მეურნეობის ნიადაგზე პოლიტიკურ ძალათ გაბატონებული მუშათა კლასი, რომელიც მშრომელ გლეხკაცობასთან მჭიდრო კავშირში ისტორიის ახალ ფურცლებს შლის.

ძველ ისტორიას დაეჯახა ახალი ისტორია და გაჩაღებულია სასტიკი ბრძოლა.

მსოფლიო ბურჟუაზია ირაზმება საბჭოთა ქვეყნების წინააღმდეგ და ლამობს მის დაძლევას. დღითი დღე მზადდება საბჭოთა კავშირზედ თავდასხმა და მისი გარემოცვა. კაპიტალისტური სამყარო ლამობს სოციალისტურ სამყაროს დასაწყისის ძირშივე ჩაკვლას და საბჭოთა კავშირის მოქცევას საერთაშორისო კაპიტალისტურ მეურნეობის სფეროში. ეს არის ისტორიულ წინსვლის უკან მობრუნების ცდა, რის განსახორციელებლად ბურჟუაზია არავითარ დაბრკოლების წინაშე არ მოიხრის ქედს მანამ, სანამ შუბლს არ მიახეთქს საბჭოთა კავშირის ცემენტის კედლებს.

მსოფლიო ბურჟუაზია ჯვაროსნულ ომს ამზადებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ და ამ ომის სამზადისში მენშევიზმი აქტიურ დახმარებას უწევს მას.

გერმანიის მენშევიზმის მამამთავარმა ბ. შეიდემანმა „წითელ იმპერიალიზმ“-ში დასდო ბრალი ჩვენს ქვეყანას, უსინდისო დემაგოგიით მოინდომა ჩვენი საქმიანობის გაშავება და მით ნიადაგს ამზადებს, რომ მსოფლიო იმპერიალიზმს გერმანიაც დაეხმაროს ჩვენს დახრჩობაში.

საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ბრძოლაში მენშევიზმი მსოფლიო ბურჟუაზიას უდგას გვერდში. ის ბურჟუაზიასთან ერთად ებრძვის იმ ნაკადს, რაც ახალია თანამედროვე ისტორიულ სინამდვილეში და მით გვერდში უდგება იმათ, რომელთა წინააღმდეგ ბრძოლაში სული ლალიეს, როგორც მეცნიერულ სოციალიზმის მამამთავრებმა კ. მარქსმა და ფრ. ენგელსმა, ისე მრავალ ათასმა რევოლიუციონურმა მებრძოლებმა.

გასაკვირი ის კი არ არის, რომ ეს ბრძოლა ჩვენს წინააღმდეგ სწარმოებს, არამედ გასაკვირველი ის იქნებოდა, რომ ეს ბრძოლა არ ყოფილიყო.

ამ ბრძოლის მზადება საუკეთესო ატესტაციას უკეთებს საბჭოთა კავშირს მსოფლიო მუშათა კლასის თვალში, რომელიც იქაც ამზადებს ნიადაგს იმ საქმის გასაგრძელებლად, რომელიც აქ დაიწყო.

ამ დიად ისტორიულ მშენებლობის ჟამს საქართველო საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ ორგანიულ ნაწილს წარმოადგენს და მასთან ერთად მიდის ისტორიის ახალი გზით. ჩვენ ამ გზას მივყვებით იმიტომ, რომ ეს ისტორიულად

აუცილებელი გზა არის; მივყვებით იმიტომ, რომ გავემიჯნეთ ძველ ეპოქას და ხელი მივეცით ახალ სოციალისტურ ეპოქას.

ამ ეპოქის წინააღმდეგ ბრძოლაში განსაკუთრებით აქტიური არის ქართული მენშევიზმი, რომელიც არავითარ საშუალების წინაშე არ იხევს, რომ დასძლიოს პოლიტიკური ბოლშევიზმი.

ის ყოველ ბნელ ძალას უკავშირდება ამ ბრძოლაში და სრულიად არ აძლევს თავის-თავს ანგარიშს, რომ ებრძვის იმას, რისთვისაც ათეულ წლობით იბრძოდა მშრომელი საქართველო.

მშრომელმა საქართველომ მიაღწია თავის ისტორიულ ბრძოლის მიზანს, შეუდგა სოციალისტურ მეურნეობის პრაქტიკულ მშენებლობას და ქართული მენშევიზმი კი მიერეკება მას უკან, კაპიტალიზმისაკენ. ქართველ მენშევიკების მიერ 1924 წლის აგვისტოში მოწყობილი ავანტიურა, ეს უიმედო და სასოწარკვეთილებით გამოწვეული ჯანყი იყო ისტორიის ახალი ეპოქის წინააღმდეგ. ეს ჯანყი დამარცხდა მიტომ, რომ შეუძლებელი იყო ამ ახალ ეპოქის დაძლევა. ქართულ მენშევიზმმა უნდა ისწავლოს ჭკუა ამ მარცხის გაკვეთილებზედ და ხელი აიღოს ავანტიურისტულ განზრახვებისგან.

**ზ. ჩახვაძე.**

# ჩვენი ინტელიგენცია და საბჭოთა ხელისუფლება

ქართველი ხალხის რევოლიუციონურ განვითარების ისტორიას რომ თვალი გადავავლოთ, აშკარად დავინახავთ, რომ ინტელიგენციის მნიშვნელოვანი ნაწილი ბრძოლის გადამჭრელ მომენტებში მუდამ მშრომელ ხალხთან იყო, მის ჭირ-ვარამს იზიარებდა, მისი ბრძოლის ლოზუნგებს მხურვალედ ეხმაურებოდა.

ოთხმოცდაათიან წლებამდე, ინტელიგენციის აბსოლიუტური უმრავლესობა თავად-აზნაურულ წრიდან იყო გამოსული, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მისი საგრძნობი ნაწილი მშრომელი გლეხობის მხარეზე იდგა. ინტელიგენციის ამ ნაწილმა სავსებით შეიგნო, რომ ძველი, ფეოდალური საქართველო ცხოვრების მიერ განწირული იყო და რომ ისტორიულ განვითარების ულმობელი კანონის მოთხოვნილება იყო ფეოდალურ საქართველოს ნანგრევებზე ახალი, მშრომელთა საქართველოს არსებობა-განვითარება.

ოთხმოცდაათიან წლებიდან ინტელიგენციის ახალი ძალები თვით მშრომელი გლეხობიდან წარმოიშვა და ამ ხანებში ჩვენში დიდ გავლენას პოულობს სოციალისტურად მოაზროვნე ინტელიგენცია.

ჩვენის აზრით, გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ქართველი ხალხის დიდი ნაწილი რევოლიუციონური სულის მატარებელია. ეს ერთი მხრით უნდა აიხსნათ იმ გარემოებით, რომ ჩვენი ხალხი ადვილად ითვისებს ახალ იდეებს. მეორეს მხრით კი, ქართველი ერი ეროვნულ ჩაგვრას განიცდიდა მეფის დროის რუსეთისაგან და სწორედ ამ რეჟიმის სისასტიკე ხელს უწყობდა ჩვენში რევოლიუციონური სულის გაძლიერებას. ბაქოში და შავი ზღვის სანაპიროს ქალაქებში სამუშაოდ გასული ჩვენი მუშები, სოფელში დაბრუნებისას აგიტაცია-პროპაგანდით ავრცელებდენ სოციალისტურ იდეებს გლეხობაში. მუშებსა და გლეხობაში სოციალისტური იდეების გაძლიერებამ გააძლიერა და რიცხვობრივად გაამრავლა სოციალისტური ინტელიგენცია.

1905 წ. რევოლიუციის დროს ჩვენი ინტელიგენციის უმრავლესობა სავსებით რევოლიუციის მხარეზე დადგა და მუშებსა და გლეხობასთან ერთად თავგანწირული ებრძოდა თვითმპყრობელურ რეჟიმს. რევოლიუციის დამარცხების და მძაფრი რეაქციის თარეშსაც არ გაუტეხია ინტელიგენციის საგრძნობი ნაწილი წელში და თებერვლის რევოლიუციამდე ბევრი რევოლიუციური ინტელიგენტი ეზიდებოდა წამების ჯვარს. თვით თებერვლის რევოლიუციის დროს დიდი ნაწილი ინტელიგენციისა მუშებისა და გლეხების გვერდით ეწეოდა რევოლიუციონურ მოღვაწეობას.

1918—1920 წლებში ინტელიგენცია ზეიმობს. ის „დამოუკიდებლობას“ დღესასწაულობს. ეს პერიოდი ქართველი ერის ცხოვრებაში შეიძლება იქნას წოდებული პოლიტიკურ ბურუსის, თავბრუხვევის პერიოდათ. არავინ ფიქრობდა იმაზე, თუ რა ხდებოდა ჩვენი ქვეყნის გარეთ, არავინ უწევდა ანგარიშს საერთაშორისო მოვლენებს. თითქოს კარები ჩავიკეტეთ და ჩვენი საკუთარი ცხვირის იქით არაფერი გვაინტერესებდა. ამ დროს კი, მსოფლიოს მასშტაბით, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში იყო ჩაბმული ორი გიგანტიური ძალა—მსოფლიო ბურჟუაზია და პროლეტარიატი. ეს უკანასკნელი ოქტომბრის დროშით ხელში გააფთრებით ებრძოდა მსოფლიო რეაქციას. შიმშილით ფერმიხდილი პროლეტართა რაზმები არაფერს უთმობდენ რეაქციონურ გენერლების თეთრ რაზმებს, პირიქით, შეტევაზე გადადიოდენ და რევოლიუციონურ სფეროს საათობით ადიდებდენ. აქ იჭედებოდა მსოფლიო პროლეტარიატის ბედი. აქ წყდებოდა წვრილ ერთა თავისუფლების საკითხიც. ოქტომბერი—ჩვენი კარის ყურეში იყო. ჩაკეტილ კარების გარედან მაინც მოისმოდა რევოლიუციონერთა ხმა, რომლებიც ქართველ მშრომელ ხალხს დახმარებას თხოვდა. მაგრამ ჩვენ „სხვისთვის“ არ გვეცალა, „საკუთარ“ საქმეს ვაკეთებდით, და იმაზე კი არ ვფიქრობდით, რომ ოქტომბრის რევოლიუციის დამარცხება საქართველოსთვის საბედისწერო იქნებოდა. ნაცვლად დახმარებისა, ჩვენი ქვეყანა ოქტომბრის საწინააღმდეგო ბაზად ხდებოდა და ამგვარად, ნებსით თუ უნებლიეთ, ოქტომბრის მტერთა ბანაკში მოვექეცით. ჩვენმა ინტელიგენციამ სიმები გააბა თამარ მეფისა და 26 მაისის საქართველოს შუა და სავსებით პოეზიაში გადაეშვა. რეალური აზროვნება დაიჩრდილა. ერთხელაც ვერ მოხერხდა დანახვა, თუ რა კვანძები ინასკვებოდა ჩვენს გარშემო და რომელი ხმალი გასჭრიდა ამ კვანძებს. მივცურავდით ასე და გარკვევით არავინ იცოდა, რომელ ნაპირზე გაგვრიყავდა იალქნიანი ნავი. მხოლოდ მაშინ გამოვერკვიეთ, როცა ფაქტის წინაშე დავდექით, ე. ი. როცა საქართველო გასაბჭოვდა. გამოვერკვიეთ როგორ,—მხოლოდ ფაქტი დავინახეთ, რომ საქართველოს მესაჭეობა ისტორიამ ჩააბარა კომუნისტებს. რაც შეეხება არსებით გაგებას სინამდვილისას, სამწუხაროდ, ეს ჩვენ ვერც გასაბჭოების შემდეგ შევძელით. სწორედ ამით აიხსნება ის მოვლენა. რომ საბჭოთა ხელისუფლებას, განსაკუთრებით ინტელიგენციის დიდი უმრავლესობა, მტრულად შეხვდა, ზურგი შეაქცია მას. თუ წინად ყველას სასირცხვოდ მიაჩნდა განზე გადგომა, საზოგადო საქმისადმი გულგრილობა, თუ წინად ყველას თავის მოვალეობად მიაჩნდა ახალი ქვეყნის შენებაში მონაწილეობის მიღება, საქართველოს გასაბჭოებიდან ყველა განზე გადგა. გაჩაღდა მუშაობა კომუნისტების წინააღმდეგ. შეიქნა არალეგალური ორგანიზაციები. გაიმართა მიწერ-მოწერა ტფილისსა და პარიზს შორის და ყოველივე ამას შედეგად მოჰყვა 1924 წლის აგვისტოს სისხლიანი ამბები. აგვისტოს ამბებში ჩვენს ინტელიგენციას სათანადო წილი უდევს. ეს არ არის დაბეზღება. არც ახალი ამბავია ეს. აჯანყების პოლიტიკას ზოგი აქტიურად და ზოგიც პასიურად უწყობდა ხელს. ქართული ანდაზა ამბობს: „ურემი რომ გადაბრუნდება, გზა მას უკან გამოჩნდება“-ო. ასეც მოხდა. უმანკო სისხლის დაღვრის შემდეგ ყველა მოვიდა გონს. ყველა დარწმუნდა, რომ აჯანყების პოლიტიკა ფიზიკურ განადგურებამდე მიიყვანს ქართველ ერს.

დაიწყო გარდატეხის ხანა. გარდატეხა მოხდა ინტელიგენციაშიც. ინტელიგენციის აბსოლიუტურმა უმრავლესობამ ხელი აიღო აჯანყების პოლიტიკის აქტიურად ხელის შეწყობაზე. მაგრამ ეს არ იყო საკმარისი. საჭირო იყო საბჭოთა ხელისუფლებისადმი დამოკიდებულების საბოლოოდ გამორკვევა. აქ ინტელიგენცია გაიყო

სამ ნაწილად. საგრძნობი ნაწილი სავსებით გულწრფელად დადგა საბჭოთა ხელისუფლების პლატფორმაზე. მეორე ნაწილი, გარეგნულად თითქოს, საბჭოთა პლატფორმაზე სდგას, მაგრამ სინამდვილეში განაგრძობს ბუტიაობის პოლიტიკას. ეს ხალხი უკმაყოფილოა, რაღაცას კიდევ ელის, რაღაც ელანდება; მესამე,—მცირე ნაწილი ინტელიგენციისა კი, დღესაც მომხრეა აგვისტოს პოლიტიკის.

დღეს ხელმეორედ და კატეგორიულად ისმება კითხვა ინტელიგენციის წინაშე: როგორ გამოეხმაურება ის მეორე აგვისტოს სამზადისს? განვლილმა დრომ ნათლად დაამტკიცა, რომ საქართველოს კულტურულ-ეკონომიურ განვითარებისათვის ყველა პირობებია მოცემული. ციფრები ამტკიცებენ, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ იმდენი შესძლო გაეკეთებია განვლილ 6 წლის განმავლობაში, რასაც იმავე პირობებში, ვერც ერთი სხვა ხელისუფლება ვერ გააკეთებდა. ინტელიგენციამ თვალგახელილი უნდა შეხედოს ყოველივე ამას და ერთხელ და საბოლოოდ გამოარკვიოს თავისი პოზიცია.

დღეს, როგორც ვხედავთ, ამოძრავებულია ოქტომბრის რევოლიუციის მტერთა ბანაკი. ინგლისის კონსერვატორები აფართოებენ საბჭოთა კავშირის გარემოცვის რკალს. ამისი საუცხოვო ილიუსტრაციაა ლიტვის ამბები და პოლონეთის ფაშისტთა განგაში. ამ ამბებმა უთუოდ გაუღვიძეს იმედები ემიგრაციას. ის შეეცდება ქართველ ხალხში კვლავ გააძლიეროს ილიუზიები და მეორე აგვისტოზე წააქეზოს. საამისო მუშაობა ალბად აქაც იწარმოებს. ქართველი ინტელიგენციის იმ ნაწილმა, რომელიც დღემდე მერყეობს, აუცილებლად უნდა გამოვიდეს გაურკვეველ მდგომარეობიდან და დაარღვიოს სიჩუმე, თორემ ეს სიჩუმე ხელს შეუწყობს აგვისტოს მომზადებას და შემდეგ გვიანღა იქნება.

უბედურების შემდეგ ხელის ბანა არაფრათ რა გამართლდება.

ა. ჩაჩუა.

# გ. ქუჩიშვილის ლექსები

## ახალი საუკუნე

წარსულს გადაჰყვა ცხოვრება დუნე
ძველ ადათ-წესებს აუგოთ წესი,
იშვა ახალი ეს საუკუნე,
ამბოხებათა ელვათა მკვესი.
ზანზარებს მიწა კიდითი-კიდე,
ცახცახებს ყველა მოსისხლე მტერი,
დარღვეული აქვს სულის სიმშვიდე,
გრძნობს თავს ენგრევა სასახლის ჭერი.
არის ჭიდილი ორ ქვეყნის შორის,
ბრძოლა სასტიკი და ულმობელი,
ისმის ხეთქება ტალღათა გორის,
წითელი წარღვნის მახარობელი.
სამყაროვ, უნდა იცვალო ფერი,
უნდა იცვალო გული და კანი,
ველარ დაგიხსნის ვეღარაფერი,
რღვევისა ორგიით ქშინავს ვულკანი.

## ამხ. მუშებს

თქვენთან ვიყავი, როცა ბნელოდა,
გულ-ანთებული ჩირაღდნით ხელში,
როცა ბრძოლებში არავინ გვშველოდა,
როცა მახვილი გვებჯინა ყელში.
თქვენთან ვიყავი დიდ განსაცდელში.
სისხლი წვეთ-წვეთად მეცა მდენია,
მეც ვმჯდარვარ ციხის ბნელ ოთხ-კედელში.
ვინ უწყის რა არ გადამხდენია.
აღმიდგენია ძალა ასკეცი,
წითელი დროშა ამიფრენია,
დამდევნებია ყოველი მხეცი,
მაგრამ გაქცევით ამიღრენია.
გამარჯვება თუ დამარცხებანი,
მეც განვიცადე, ვიწვნიე მეცა,
ბევრჯერ აიკლეს ჩვენი უბანი,
მტარვალთა ხროვა ბევრჯერ დაგვეცა.
გადავრჩით სიკვდილს, დავამხეთ ზღუდე,
ზღუდე სისხლიან თვითმპყრობელობის,
გავანადგურეთ ბნელეთის ბუდე,
ბუდე მონობის, ბუდე მკვლელობის.
ძმებო—მუშებო! თქვენთან ვარ დღესაც,
ჩვენ საერთო გვაქვს ლხინიც და კვნესაც.
რევოლიუციის სადიდებელად
ამხანაგებო ასწიეთ თასი
და მოვიგონოთ ასი, ათასი
დაცემულები ბრძოლისა ველად!

გ. ქუჩიშვილი.

# გაკვრით.

ერთი რომაული ანდაზა ამბობს: მიცვალებულზე ან კარგი უნდა სთქვა, ან არაფერიო. სამწუხაროდ, ამ ბრძნულ თქმულებას ვერ გამოვიყენებთ, როდესაც ჩვენ ე. წ. ემიგრაციის მესვეურებს მოვიგონებთ.

მართალია ისინი პოლიტიკურად მოკვდნენ, მაგრამ სიკვდილი არის და სიკვდილიც. 1924 წლის აგვისტოს ავანტიურის სისხლიან დღეების ავტორებს, თავის-თავად ცხადია, შენდობას არავინ შეუთვლის და არც კარგად მოიხსენიებს, მაგრამ მათ მოგონებაზე არაფერი ითქვას, ესეც შეუძლებელია. მკითხველს ალბად მოეხსენება, რომ ყოველგვარი ლეში, როგორც ეს დამტკიცებულია, გახრწნის დროს უშვებს ერთგვარ ნივთიერებას, რომელსაც მეცნიერები „ლეშის შხამს“ ეძახიან (ტრუპნი იად). ეს შხამი ჯანმრთელ ორგანიზმში შერევით იწვევს საერთო სისხლის მოწამვლას, ე. წ. განგრენას.

ამიტომ ჩვენ კიდევ გვმართებს სიფრთხილე და ეს არის მიზეზი, რომ არ ვეთანხმებით ზოგიერთ ჩვენ ამხანაგ-მეგობრებს მათ მავნებლობა-უვნებლობის დაფასეის საკითხში. რომ ეს გახრწნილნი, პოლიტიკური ლეშები კიდევ საშიშნი არიან ამას საკმაოდ მოწმობს ის ფაქტი, რომ ისინი დღესაც ანთხევენ შხამს და სწამლავენ ირგვლივ ატმოსფერას. თავის ორგანო „ბრძოლა“-ში ისინი ისეთ სურათებს ხატავენ, რომელთაც არა თუ რაიმე კავშირი არა აქვთ ჩვენ ცხოვრების მოვლენებთან, არამედ ცხადზე-უცხადესათ ეწინააღმდეგებიან მათ. მსაჯულად ჩვენ შორის თვით მკითხველებს ვიწვევთ. აბა დაუგდოთ ყური რას სწერენ ისინი ჩვენს მუშათა კომისიის შესახებ, იმ მუშათა კომისიის, რომელმაც მთელი ზღვა ხალხი იხსნა მათ დამღუპველ, ამ სიტყვის პირდაპირ მნიშვნელობით, ავანტიურისაგან და რომელიც დღესაც ურყევად სდგას ხალხის ინტერესების დაცვის საპატიო პოსტზე. „მუშათა კომისიის დელეგატების კრებებს ხალხი ყურს არ უგდებს, და თუ იკრიბება ის ნელნელა სტოვებს სხდომის დარბაზს და ბოლოს არავინ მათ არ უსმენს“. დაახლოვებით ასეთ სიტყვებით ლაღადებს „ბრძოლის“ კალმოსანი. ჭეშმარიტად, მხოლოდ ისეთ პირებს და ჯგუფებს შეუძლიათ ასეთ უმსგავსოების წერა, რომელთაც დიდი ხანია გაუწყვეტიათ ყოველგვარი კავშირი თავის სინდისის ნატამალთან ერთის მხრით, და მეორეს მხრით— სავსებით დარწმუნებულნი არიან, რომ ამგვარ ცრუ და ყალბ წერილს საქართველოში არავინ წაიკითხავს. თქვენი სურვილის წინააღმდეგ თქვენ მიერ ათვალისწინებული ჩვენი ძველი ამხანაგები კოწია სულაქველიძე, ალფეზ ხელაძე და სხვანი, რომლებსაც თქვენ ლაფში სვრით, სწორედ ეს ამხანაგები ამ თქვენ წერილს გააცნობს იმ ხალხს, რომელთა დასწრება კრებაზე თქვენ არ გინდათ, და რომლებიც თქვენ ჯინაზე ათასობით და ათი ათასობით ეტანება მათ აუდიტორიას.

გიორგი მაღნარაძე.

სარედაქციო კოლეგია

ტირაჟი 5.000 ტფილისის ალმასკომის სტამბა.